პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

№ 170 (5271) | ოთხშაბათი, 27 ივლისი 1938 წ. | ფასი 10 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღეს გაზეთში:

8 საბჭოთა მეზღვაურის დეპეში ამხანაგებს სტალინს, ეჟოვს
ვიბრძოლოთ საქნავთის სამრეწველო ექსპლოატაციისათვის (მოწინავე)
ამხ. ნ. მ. შვერნიკის სიტყვა ფიზკულტურელთა სრულიად-საკავშირო პარადზე მოსკოვში (1-ლი გვ.)
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში (1-ლი გვ.)
გაიხსნა უკრაინის სსრ უმაღლესი საბჭოს პირველი სესია (1-ლი გვ.)
გაიხსნა ბელორუსიის სსრ უმაღლესი საბჭოს პირველი სესია (1-ლი გვ.)
პარტიის მეორე ყრილობის 35 წლისთავისათვის (მე-2 გვერდი)
ვ. დვალი — ვიბრძოლით ჩაის მაღალი მოსავლისათვის (მე-2 გვ.)
საქართველოს ნავთი (მე-3 გვ.)
ვლადიმერ კოროლენკო (მე-4 გვ.)

უცხოეთში:

მშვიდობიანობის დაცვის საერთაშორისო კონფერენცია (მე-4 გვ.)
ინგლისი ზეგავლენას ახდენს ჩეხოსლოვაკიის მთავრობაზე (მე-4 გვ.)

8 საბჭოთა მეზღვაურის დეპეში ამხანაგებს სტალინს, ეჟოვს

პარიზი, 25 ივლისი (საკდესი). გუშინ პარიზს ჩამოვიდა გემ „სმიდოვიჩის" კომანდის საბჭოთა რვა მეზღვაური, რომელნიც განთავისუფლებულ იქნენ ფაშისტური ჯურღმულიდან.

მეზღვაურებმა შემდეგი დეპეში გაგზავნეს მოსკოვში:

„მოსკოვი, კრემლი ამხანაგ სტალინს.

წყლის ტრანსპორტის სახალხოკომისარიატი— ამხანაგ ეჟოვს.

ფაშისტურმა საპყრობილემ ვერ შეარყია ჩვენი ნებისყოფა საბჭოთა საქმისათვის ბრძოლისადმი. ჩვენ სიხარულით ვბრუნდებით საყვარელ სამშობლოში. გულითადად გმადლობთ თქვენი პირადი დაუცხრომელი ზრუნვისათვის და მთავრობისა და პარტიის ზრუნვისათვის ჩვენზე და ჩვენს ოჯახებზე.

„სმიდოვიჩის" მეზღვაურთა ჯგუფისაგან არსენტიევი".

ვიბრძოლოთ საქნავთის სამრეწველო ექსპლოატაციისათვის

საქართველოში არ ყოფილა წარსულში ნავთის მრეწველობა. ან კი ვინ მიაქცევდა ამ საქმეს ყურადღებას.

ოდითგანვე ცნობილმა, მიწის წიაღში მიმალულმა, ბუნებრივმა სიმდიდრეებმა მხოლოდ ჩვენს სტალინურ ეპოქაში, მხოლოდ ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობით, მხოლოდ ლენინ-სტალინის ბრძნული ნაციონალური პოლიტიკის ბრწყინვალე გამარჯვების შედეგად ჰპოვეს თავისი გამოყენება და ეს უდიდესი სახალხო დოვლათი დღეს მშრომელი ხალხის კეთილდღეობას ხმარდება.

საბჭოთა ხელისუფლებამ ჩაუყარა ჩვენში საფუძველი ნავთის მრეწველობას, რომელიც ესოდენ საჭიროა სახალხო მეურნეობის შემდგომი განვითარებისათვის. შირაქის თვალუწვდენელი ველების ღრმა წიაღში დაბუდებული შავი ოქრო, რომელიც იქ უძრავ კაპიტალად იყო ჩაწოლილი საუკუნეთა მანძილზე, მხოლოდ ბოლშევიკების ყოვლისშემძლე ხელმა გამოაღვიძა და აამოქმედა. ქართველმა ბოლშევიკებმა მტკიცედ მოჰკიდეს ხელი ამ სახალხო დოვლათის გამოყენების საქმეს და დღეს ასეული მეტრის სიღრმეზე ჩაწოლილმა ნავთის ტბორმა მზის სინათლე ნახა, იგი დედამიწის ზედაპირზე ამოვიდა.

ჩვენს ქვეყანას ახლა მოეპოვება საბჭოთა ხელისუფლების პირმშო — საქართველოს ნავთის მრეწველობაც; ის, მართალია, ჯერ თავისი ყრმობის პერიოდს განიცდის, მაგრამ მოეპოვება ყველა პირობა, უდიდესი პერსპექტივა ფართოდ განვითარებისათვის.

დღეს ჩვენ ვაქვეყნებთ მასალას საქნავთის მუშაობის შესახებ, საიდანაც მკითხველი თვალნათლივ დაინახავს იმ სიძნელეებსა და დაბრკოლებებს, რომელშიც მას ელობებოდნენ თავის განვითარების მთელ მანძილზე დღევანდლამდე.

ხალხის მტრები—ფაშიზმის ტროცკისტ - ბუხარინელი ნაძირალები, რომლებიც მოკალათებული იყვნენ საქნავთში, ყოველნაირად ცდილობდნენ ხელი შეეშალნათ პარტიისა და ხელისუფლების ამ დიდი წამოწყებებისათვის. ხალხის მტერ-მავნებლებს თავისი „თეორიაც" კი ჰქონდათ იმის შესახებ, თითქოს საქართველოს ნავთს სამრეწველო მნიშვნელობა არ ჰქონდეს, და ამ „თეორიით" ძირს უთხრიდნენ, ანგრევდნენ მეურნეობას. მაგრამ ეს „თეორია" პარტიამ, ხალხმა დაამსხვრია. ხალხის მტრები განადგურებული არიან. დღეს ჩვენ მოწმენი ვართ იმ გარდატეხისა, რომლებიც საქართველოს ნავთის მრეწველობის განვითარებას ემჩნევა.

შესამჩნევად გაზრდილია საძიებელი ბურღვისა და ნავთის ამოღების ტემპები. საქნავთში გამოვლინდნენ ახალგაზრდა ბოლშევიკური კადრები, რომლებიც სოციალისტური შრომის საუკეთესო მაგალითებს იძლევიან. არის ყველა პირობა იმისათვის, რომ საქართველო ნავთის მეორე ბაზად გადაიქცეს ამიერკავკასიაში. ზოგან უკვე დაწყებულია (სუფსა, ნორიო-მარტყოფი) და ზოგანაც (მლაშეხევი, ბაიდო, ლეღვის-წყალი) ახლო მომავალში დაიწყება ნავთიანი ფართობების საძიებელი ბურღვა.

მაგრამ საქნავთის კოლექტივს ერთი უდიდესი ნაკლი ახასიათებს — ეს არის ის, რომ აქ მეტად შერყეულია შრომის დისციპლინა. ეს სენი გადმოსულია, როგორც ნაშთი, ძველი მავნებლური ხელმძღვანელობის „მუშაობისა", რაზედაც მკვეთრად ამახვილებს საქნავთის განახლებული ხელმძღვანელობის ყურადღებას საქართველოს ბოლშევიკების ხელმძღვანელი ამხანაგი ლ. პ. ბერია თავის მოხსენებაში საქ. კ. პ. (ბ) XI ყრილობაზე.

„საქნავთში ნაკლოვანებანი ჯერ კიდევ ბევრია. განსაკუთრებით შერყეულია შრომის დისციპლინა", — ამბობს ამხანაგი ბერია და მოუწოდებს ტრესტის ახალ ხელმძღვანელობას მაგრად იმუშაოს იმისათვის, რომ დაამყაროს ბოლშევიკური წესრიგი.

ამხანაგ ბერიას ამ მითითების შესრულება საქნავთის მთელი კოლექტივისა ღირსების საქმედ უნდა გადაიქცეს. დღეს საქნავთში არ არსებობს იმაზე უფრო საპატიო მოვალეობა, ვიდრე ბრძოლა შრომის ნამდვილი ბოლშევიკური დისციპლინისა და წესრიგის დამყარებისათვის.

მიმდინარე წლისათვის საქნავთმა ქვეყანას 12.500 ტონა ნავთი უნდა მისცეს. იმ შესაძლებლობებით, რომლებიც იქ მოიპოვება, გაცილებით მეტის გაკეთება შეიძლება. საქნავთის კოლექტივს გაცილებით მეტის მოცემა შეუძლიან, მაგრამ აქაც საქმე ბოლშევიკური წესრიგის დამყარებაშია. „ნავთის ამოღება ისე უნდა გავშალოთ, რომ წელიწადში ვიღებდეთ არა 12 ათას ტონას, არამედ ასეულათასობით ტონა ნავთს" **(ლ. ბერია).** ხოლო ამას რომ მივაღწიოთ, ამისათვის უწინარეს ყოვლისა საჭიროა მასების ინიციატივის ამოძრავება, სტახანოვური მეთოდების ფართოდ დანერგვა და გაშლა, მოწინავეთა მაგალითებზე ჩამორჩენილთა აღზრდა, პარტმასობრივი მუშაობის ფართოდ გაშლა. ამ მხრივ ახლა საქნავთში არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობა გვაქვს. ტრესტის პარტიულმა ორგანიზაციამ თავისი მუშაობის ამ მხარეზე სერიოზულად უნდა გაამახვილოს ყურადღება და იბრძოლოს იმისათვის, რომ ახლო მომავალში კომუნისტების ავანგარდული როლი წარმოებაში აყვანილ იქნას სათანადო სიმაღლეზე.

„ახალი ხელმძღვანელობით განმტკიცებულ საქნავთს, რომელიც უკვე გაწმენდილია იქ მოკალათებული ხალხის მტრებისაგან, ყველა პერსპექტივა აქვს თავისი განვითარებისათვის. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ მიმდინარე წლის დასასრულისათვის უკვე შესაძლებელი იქნება ის გადაცემულ იქნას სამრეწველო ექსპლოატაციისათვის" **(ლ. ბერია).**

ბ. ფრანკლინ რუზველტის დეპეში ამხ. მ. ი. კალინინისადმი

ამერიკის დამოუკიდებლობის წლისთავთან დაკავშირებით სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხ. მ. ი. კალინინის მიერ შეერთებულ შტატების პრეზიდენტ ფრანკლინ რუზველტისათვის გაგზავნილი მისალოცი დეპეშის პასუხად ბ. რუზველტმა ამხ. მ. ი. კალინინს გამოუგზავნა შემდეგი დეპეში:

ნებას ვაძლევ ჩემს თავს გულწრფელი მადლობა გადავუხადო თქვენს მაღალაღმატებულებას მეგობრული მოლოცვისათვის, ამერიკის დამოუკიდებლობის წლისთავთან დაკავშირებით. გულწრფელად გისურვებთ ყოველივე კარგს პირადად თქვენ და საბჭოთა კავშირის ხალხებს.

ფრანკლინ რუზველტი

(საკდესი)

სესხის რეალიზაცია საქართველოში

საქართველოს სახელმწიფო შრომითი შემნახველი სალაროებისა და სახკრედიტის სამმართველოს ცნობით, 25 ივლისს, ღამის 12 საათისათვის საქართველოს სს რესპუბლიკაში სესხი გავრცელებული იყო 101.641.000 მანეთის რაოდენობით. ე. ი. 13,1 პროცენტით იმაზე მეტი, ვიდრე გასულ წელს ამავე დროისათვის „თავდაცვის განმტკიცების სესხი" გავრცელდა. აქედან მუშა-მოსამსახურეებმა სახელმწიფოს სესხად მისცეს 84.988.000 მანეთი (14,6 პროცენტით მეტი გასულ წელთან შედარებით), ხოლო კოლმეურნეებმა და ერთპიროვნულმა მეურნეებმა 16.653.000 მანეთი (5,8 პროცენტით მეტი ვიდრე გასულ წელს).

ამავე დროისათვის აფხაზეთის ასს რესპუბლიკაში გავრცელებული იყო 8.992.000 მანეთის სესხი (22,2 პროცენტით მეტი ვიდრე შარშან), აჭარის ასს რესპუბლიკაში — 7.007.000 მან. (7,8 პროცენტით მეტი გასულ წელთან შედარებით), სამხრეთ-ოსეთის ავტონომიურ ოლქში — 1.642.990 მან. (შარშანდელთან შედარებით 16,7 პროცენტის გადაჭარბებით) ხოლო თბილისში—37.724.000 მან. (14,1 პროცენტით მეტი ვიდრე შარშან).

ახალი სესხის რეალიზაციის საქმეში წინ მიდიან: აფხაზეთის ასს რესპუბლიკა და ასპინძის, ახალციხის, ბოგდანოვკის, ყარაიის, ზემო და ქვემო სვანეთის, თიანეთისა და ხობის რაიონები.

შედარებით სხვებთან ძალიან ჩამორჩენილი არიან: გურჯაანის, ზესტაფონის, კასპის, ყვარლის, საგარეჯოს, ხაშურის ჩოხატაურის რაიონები და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქი.

ხელის მოწერა გრძელდება.

ფიზკულტურელთა სრულიად-საკავშირო პარადი მოსკოვში

ამხ. ნ. მ. შვერნიკის სიტყვა

ამხანაგო ფიზკულტურელებო, ფიზკულტურელო ქალებო მოსკოვის ფიზკულტურული პარადის მონაწილენო! გადმოგცემთ მხურვალე ბოლშევიკურ სალამს პროფკავშირთა წევრების 22-მილიონიანი არმიისაგან.

დღეს ფიზკულტურელები, სპორტსმენები, ახალგაზრდა მუშები, მუშა ქალები, მოსამსახურეები, ინჟინრები, ტექნიკოსები, რომელნიც მონაწილეობას იღებენ მოსკოვის პარადში, გვიჩვენებენ თავის ძალას და ჯანსაღობას, თავის მზადყოფნას შრომისა და თავდაცვისათვის, სიყვარულს და ერთგულებას თავისი სამშობლოსადმი, კომუნისტური პარტიისადმი, ფიზკულტურელთა საუკეთესო მეგობრის, სსრ კავშირის ხალხთა და საერთაშორისო მუშათა კლასის დიდი ბელადის ამხანაგ სტალინისადმი. **(მქუხარე ტაში).**

მოსკოვის პარადში წითელი დედაქალაქის ფიზკულტურელებთან ერთად მონაწილეობას იღებენ ფიზკულტურელები მოკავშირე სოციალისტური რესპუბლიკებისა: რუსეთის საბჭოთა ფედერატიული სოციალისტური რესპუბლიკისა, უკრაინის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა, ბელორუსიის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა, აზერბაიჯანის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა, საქართველოს, უზბეკეთის, ყირგიზეთის, ტაჯიკეთის, სომხეთის, ყაზახეთის და თურქმენეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკებისა.

ეს პარადი წარმოადგენს არა მარტო ძალის, სიმძლავრისა და სიმამაცის, არამედ აგრეთვე ლენინურ-სტალინური ნაციონალური პოლიტიკის ზეიმის დემონსტრაციას.

გამარჯვებული სოციალიზმის ქვეყნის ყველა რესპუბლიკის ფიზკულტურელები, სპორტსმენები, გაერთიანებულნი მეგობრულ ოჯახად, ხელიხელჩაკიდებულნი, დღევანდელი დღით ბედნიერნი და ამაყნი და ხვალინდელი დღის რწმენით აღვსილნი გვიჩვენებენ ჩვენი დიადი სამშობლოს აყვავებას, სოციალისტური მშენებლობის წარმატებებს.

ჩვენი პარტია და პირადად ამხანაგი სტალინი, ჩვენი მთავრობა და პირადად ამხანაგი მოლოტოვი განუწყვეტლივ ზრუნავენ იმაზე, რომ აღზარდონ სტალინურად გამოწრთობილ ადამიანთა ფიზიკურად ჯანსაღი, კულტურულად განვითარებული თაობა, სოციალისტური მშენებლობის ენტუზიასტები, რომელთაც შესწევთ უნარი მაღლა და მაგრად ეჭიროთ ხელში კომუნიზმის წითელი დროშა.

ფაშისტებმა ფიზკულტურა გადააქციეს სამხედრო წვრთნის საშუალებად ახალი იმპერიალისტური ომებისათვის მომზადების საშუალებად, ბურჟუაზიული „ოქროს" ახალგაზრდობის გასართობად.

ფაშისტები ანადგურებენ რესპუბლიკური ესპანეთის, ჩინეთის ქალაქებს, ათი ათასობით ხვრეტენ სამოქალაქო მოსახლეობას, უმწეო ქალებს, ბავშვებს, მოხუცებს, ანგრევენ სახლებს, სკოლებს, საავადმყოფოებს, უნივერსიტეტებს, მუზეუმებს.

საბჭოთა ფიზკულტურელები აქტიურად იბრძვიან საყოველთაო მშვიდობიანობისათვის. ისინი წარმოადგენენ საერთაშორისო მუშათა კლასის მოწინავე რაზმს და ერთგულ მეგობრებს.

საბჭოთა პროფკავშირები აერთიანებენ ფიზკულტურელთა ყველაზე მრავალრიცხოვან რაზმებს.

ჩვენი პროფკავშირების განკარგულებაშია ასობით სტადიონი, სასპორტო მოედნები, სათხილამურო ბაზები, წყლის სადგურები, ფიზკულტურის ათობით სასახლე და ალპინისტური ბანაკები.

საბჭოთა ფიზკულტურის წარმატება პირველ ყოვლისა მდგომარეობს იმაში, რომ იგი მასობრივია, რომ მილიონობით მშრომელნი აქტიურ მონაწილეობას იღებენ ფიზკულტურულ მოძრაობაში.

პროფკავშირები მომავალშიაც ჩააბამენ მშრომელთა უფართოეს მასებს ფიზკულტურაში განსაკუთრებით ახალგაზრდობას.

პროფკავშირებს ყველა პირობები მოეპოვებათ იმისთვის, რომ ფიზკულტურული მოძრაობა იყოს ჭეშმარიტად მასობრივი, რომ მშრომელთა მილიონები ყოველდღიურად ფიზკულტურის საშუალებით ამაგრებდნენ თავის ჯანმრთელობას, ემზადებოდნენ შრომისა და თავდაცვისათვის.

საბჭოთა ფიზკულტურელები — ჩვენი სახელოვანი მუშურ-გლეხური წითელი არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის საიმედო რეზერვი —მზად არიან პარტიისა და მთავრობის დაძახებისთანავე გამოვიდნენ სოციალისტური სამშობლოს მონაპოვართა დასაცავად.

საბჭოთა პროფკავშირები, რომლებსაც ლენინ-სტალინის ბოლშევიკური პარტია ხელმძღვანელობს, ზრდიდნენ და მომავალშიაც აღზრდიან მილიონობით ფიზკულტურელებს, მგზნებარე საბჭოთა პატრიოტებს, რომელნიც აღსავსენი არიან მხურვალე სიყვარულით და ერთგულებით თავისი სამშობლოსადმი, დიდი სტალინისადმი.

გაუმარჯოს საბჭოთა ფიზკულტურელებს!

გაუმარჯოს ჩვენს სოციალისტურ სამშობლოს, მთელი მსოფლიოს მშრომელთა გზის მაჩვენებელ ვარსკვლავს!

გაუმარჯოს ლენინ-სტალინის პარტიას, სოციალიზმის დიად გამარჯვებათა ორგანიზატორს! გაუმარჯოს ფიზკულტურელთა საუკეთესო მეგობარს, ჩვენს ბელადსა და მასწავლებელს ამხანაგ **სტალინს! (მქუხარე ტაში).**

გაიხსნა უკრაინის სსრ უმაღლესი საბჭოს პირველი სესია

კიევი, 25 ივლისი (საკდესი). დღეს, ივანე ფრანკის სახელობის კიევის თეატრში საზეიმო ვითარებაში გაიხსნა უკრაინის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პირველი სესია.

დეპუტატები და სტუმრები ტაშით ხვდებიან ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვს, უკრაინის კ. პ. (ბ) და უკრაინის სსრ მთავრობის ხელმძღვანელთა დარბაზში გამოჩენას.

დარბაზის ყოველი მხრიდან მოისმის მისასალმებელი შეძახილები პირველი დეპუტატის — უკრაინის ხალხის რჩეულის — ამხანაგ სტალინის პატივსაცემად.

დეპუტატს ზ. ტ. სერდიუკს შეაქვს წინადადება, რათა უკრაინის სსრ უმაღლესი საბჭოს პირველი სესიის გახსნა მიენდოს უხუცეს დეპუტატს, მეცნიერების დამსახურებულ მოღვაწეს, ხარკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორს დიმიტრი მათეს-ძე სინცოვს.

დეპუტატი სინცოვი, ხსნის რა სესიას, ლაპარაკობს კომუნისტებისა და უპარტიოთა სტალინური ბლოკის გამარჯვების შესახებ, სსრ კავშირისა და უკრაინის სსრ უმაღლესი საბჭოების არჩევნებში, სოციალისტური მრეწველობის, სოფლის მეურნეობისა და მეცნიერების უაღრესად სწრაფი გაფურჩქვნის შესახებ საბჭოების ქვეყანაში.

დეპუტატი სინცოვი თავის სიტყვას ამთავრებს მისალმებით სრულიად-საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტის პატივსაცემად, სოციალიზმის გამარჯვებათა ორგანიზატორისა და სულისჩამდგმელის დიდი სტალინის პატივსაცემად.

დეპუტატ სპივაკს შეაქვს წინადადება, რათა უკრაინის სსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარედ არჩეულ იქნას დეპუტატი მ. ა. ბურმისტენკო. წინადადება ერთხმად იქნა მიღებული. უკრაინის სსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეებად არჩეული არიან დეპუტატი ა. ე. კორნეიჩუკი და დეპუტატი პ. გ. რადჩენკო—უპარტიო ექიმი - ქალი.

რეგლამენტისა და დღის წესრიგის დამტკიცების შემდეგ, სესია გადადის პირველი საკითხის — სამანდატო კომისიის არჩევნების განხილვაზე.

შემდეგ დეპუტატ ვ. ფ. სტარჩენკოს წინადადებით, სესია ერთხმად ირჩევს სამანდატო კომისიას 13 კაცის შემადგენლობით, სამანდატო კომისის თავმჯდომარედ არჩეულია დეპუტატი მ. ს. სპივაკი.

დეპუტატ შპილევოის შეაქვს წინადადება მისასალმებელი დეპეში გაეგზავნოს უკრაინის სსრ უმაღლესი საბჭოს პირველ დეპუტატს — საყვარელ სტალინს. ამ წინადადებას დეპუტატები მქუხარე ტაშით ეგებებიან.

დეპუტატ კალჩენკოს წინადადებით, სესიამ მიიღო მისასალმებელი დეპეშის ტექსტი დიდი სტალინის უახლოესი თანამებრძოლის — სსრ კავშირის მთავრობის მეთაურის ამხ. მოლოტოვის სახელზე.

გაიხსნა ბელორუსიის სსრ უმაღლესი საბჭოს პირველი სესია

მინსკი, 25 ივლისი (საკდესი). დღეს, საღამოს 6 საათზე გაიხსნა ბელორუსიის სსრ უმაღლესი საბჭოს პირველი სესია. სესია გახსნა ბელორუსიის სსრ უმაღლესი საბჭოს უხუცესმა დეპუტატმა მედიცინის პროფესორმა სერგი მიხეის-ძე მელკიხმა. იგი შეკრებილთ ულოცავს ბელორუსიის ხალხის უდიდეს დღესასწაულს — ბელორუსიის სოციალისტური პარლამენტის პირველი სესიის გახსნის დღეს.

კომუნისტებისა და უპარტიოთა სტალინური ბლოკის გამარჯვება ბელორუსიის სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნებში, — ლაპარაკობს ამხ. მელკიხი იყო საბჭოთა ხალხის პოლიტიკური და მორალური ერთიანობის მძლავრი დემონსტრაცია, ჩვენი საყვარელი პარტიისადმი და მისი ლენინური ცენტრალური კომიტეტისადმი, მშრომელი კაცობრიობის საყვარელი მამისა და მეგობრის იოსებ ბესარიონის-ძე სტალინისადმი უდიდესი ნდობის გამოცხადება.

ამჟამად ჩვენი რესპუბლიკა, თანასწორი 11 თანასწორ ძმურ მოკავშირე რესპუბლიკათა შორის, ზეიმობს ლენინურ-სტალინური ნაციონალური პოლიტიკის გამარჯვებას. გიგანტური ნაბიჯებით ვითარდება რესპუბლიკის სოციალისტური მრეწველობა და სოფლის მეურნეობა.

ვხსნით რა პირველ სესიას, ერთხელ კიდევ ვთქვათ, — მადლობა კომუნისტურ პარტიასა და ჩვენს ბელადს ამხანაგ სტალინს, რომლის ხელმძღვანელობით ბელორუსიის ხალხმა შეჰქმნა თავისი სოციალისტური სახელმწიფო.

სესიის მონაწილენი ფეხზე ადგომით მქუხარე ოვაციას უმართავენ პირველ საყოველთაო-სახალხო დეპუტატს — ამხანაგ სტალინს.

სესია ბელორუსიის სსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარედ ერთხმად ირჩევს დეპუტატ ნ. გ. გრეკს.

სესია ამტკიცებს რეგლამენტსა და მუშაობის წესრიგს.

შემდეგ არჩეულ იქნა სამანდატო კომისია 9 კაცის შემადგენლობით.

სესიამ დიდი აღფრთოვანებით, მქუხარე ოვაციით მიიღო მისასალმებელი დეპეში ამხანაგ სტალინის სახელზე.

„ერმაკი" მიადგა „ცაკის მოამბის" კუნძულებს

ყინულმჭრელი „ერმაკი", 24 ივლისი (საკდესი). ვარნეკის ბუხტიდან გამოსვლის მეორე დღეს „ერმაკი" სასტიკ ქარიშხალში მოჰყვა. მიუხედავად დიდი სიძნელეებისა, ყინულმჭრელი მტკიცედ მიდიოდა წინ, რათა შეერთებოდა თბომავალ „კოსარევს", რომელიც სდგას „ცაკის მოამბის" კუნძულების მახლობლად. გუშინ „ერმაკი" ორ საათზე მიადგა „ცაკის მოამბის" კუნძულებს.

ქარიშხალი 10 ბალის სიმძლავრეს აღწევს. „ერმაკმა" გადასწყვიტა წავიდეს მოზამთრე ქარავან „ლიტკესაკენ". „ერმაკის" მეზღვაურებმა ვესელოვმა, პოგორელკომ, პოსტროევმა და სხვებმა განსაკუთრებული საზრიანობა და გამბედაობა გამოიჩინეს გემბანზე ტვირთის დამაგრების დროს, რომელიც ტალღას ადვილად შეეძლო ზღვაში წაეღეკა.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში

25 ივლისს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის კაბინეტში ამხანაგ **ფ. მახარაძის** თავმჯდომარეობით შესდგა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის პირველი სხდომა.

პრეზიდიუმმა გამოიტანა გადაწყვეტილება გამოაქვეყნოს ქართულ, რუსულ, აფხაზურ და ოსურ ენებზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პირველი სესიის მიერ მიღებული კანონები, გამოსცეს ამავე ენებზე საქართველოს სსრ კონსტიტუციის ტექსტი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პირველი სესიის მიერ მიღებული ცვლილებებითა და დამატებებით, გამოსცეს აგრეთვე სესიის სტენოგრაფიული ანგარიში.

პრეზიდიუმმა მიიღო გადაწყვეტილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ორგანოს — „საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებების" გამოცემის შესახებ.

გადაწყდა ლიკვიდირებულ იქნეს საქართველოს სსრ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმთან არსებული შემდეგი კომისიები და ორგანიზაციები:

ა) მუშურ-გლეხურ წითელარმიაში გაწვევის ხელშემწყობი კომისია, 1938 წლის ასიგნობათა ნარჩენების ფინანსთა სახალხო კომისარიატისათვის გადარიცხვით;

ბ) უგზოობასთან ბრძოლის რესპუბლიკური შტაბი — სახსრების ნარჩენებისა და ფასიანი ნივთების, სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებულ მთავარ საგზაო სამმართველოსათვის გადაცემით.

გ) კერძო ამნისტიის საქმეთა კომისია — ამ კომისიის საქმეების გადაცემით საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საქმეთა მმართველობისათვის;

დ) ძირეული საბჭოთა მუშაკების გადასამზადებელი კურსები;

ე) მხარეთმცოდნეობის საზოგადოება — სახსრების ნარჩენების ფინანსთა სახალხო კომისარიატისათვის, ხოლო საქმეების განათლების სახალხო კომისარიატისათვის გადაცემით.

მიღებულ იქნა გადაწყვეტილება:

ა) გლეხთა სახლი ქ. თბილისში გადაეცეს თბილისის ქალაქის საბჭოს მთელი აქტივითა და პასივით;

ბ) სტუდენტთა ქალაქი — განათლების სახალხო კომისარიატს მთელი აქტივითა და პასივით. დაწესდეს, რომ სტუდენტთა ქალაქში ცალკეულ უწყებათა შორის ადგილების განაწილება იწარმოებს სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებით განათლების სახალხო კომისრის წარდგენით;

გ) ცენტრალური საარქივო სამმართველო — შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატს მთელი აქტივითა და პასივით;

დ) ნაკრძალთა კომიტეტი — მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს მთელი საქმეებითა და 1938 წლის სახსრების ნარჩენებით;

ე) გამომცემლობანი „კომუნისტი" და „ზარია ვოსტოკა" — სახკომსაბჭოს.

გადაწყდა წყნეთის დასასვენებელი სახლი და მწვანე კონცხის დასასვენებელი სახლი დატოვებულ იქნან უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საქმეთა მმართველობის გამგებლობაში.

პრეზიდიუმმა დაამტკიცა უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სამსახურებრივი აპარატი.

დამტკიცებულ იქნა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატთა სადეპუტატო ბილეთების ნიმუში.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საქმეთა მმართველად დამტკიცებულ იქნა ამხ. ბ. ლ. ჩარექიშვილი.

გადაწყდა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სხდომები იწვეოდეს თვეში ერთხელ.

პრეზიდიუმმა მიიღო გადაწყვეტილება გადაკეთდეს საქ. ცაკის ორგანო გაზ. „კომუნისტი" საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანოდ.

ლენინის რაიონში სანიმუშო პარტიული სწავლების ორგანიზაციის შესახებ

ამხანაგ ლ. პ. ბერიას ინიციატივით, საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის ლენინის რაიკომის ბიურომ თავის ა-წ. 25 ივლისის სხდომაზე, რომელიც ჩატარდა ყველაზე მსხვილ საწარმოთა პარტკომების მდივნებთან, პროპაგანდისტებთან და რაიონის პროპაგანდისტთა სემინარების ხელმძღვანელებთან ერთად, განიხილა რაიონში სანიმუშო პარტიული სწავლების ორგანიზაციის საკითხი.

ლენინის რაიკომის ბიუროს სხდომას დაესწრო 50 კაცზე მეტი — პროპაგანდისტები, პარტკომების მდივნები და პარტორგები, რომლებმაც აქტიური მონაწილეობა მიიღეს ამ საკითხის განხილვაში.

მოხსენებით რაიონში პარტიული სწავლების მდგომარეობის შესახებ გამოვიდა რაიკომის კულტურისა და ლენინიზმის პროპაგანდის განყოფილების გამგე ამხ. ხუციშვილი. კამათში გამოვიდნენ შემდეგი ამხანაგები: კლევეტოვი, წამალაიძე, მანუკიანი, მ. ჯაში, ი. რუხაძე, მშვენიერაძე, ფილიევი, ქოჟიკაშვილი, შიპიცინი და ჩუბინიძე.

კამათში გამოსულნი აღნიშნავდნენ მთელ რიგ ნაკლოვანებებს რაიონში პარტიული პროპაგანდის დაყენების საქმეში.

კამათში მონაწილეობა მიიღო საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის მდივანმა ამხ. მ. ჯაშმა რომელმაც გააკრიტიკა ცალკეული ამხანაგების გამოსვლები და მისცა მთელი რიგი პრაქტიკული მითითებანი პარტიული სწავლების დაყენების შესახებ. ამხ. ჩუბინიძე, რომელმაც შეაჯამა კამათის შედეგები, შეჩერდა რაიონში პარტიული პროპაგანდის გაუმჯობესების პრაქტიკულ საკითხებზე. მან წაიკითხა ლენინის რაიკომის ბიუროს დადგენილების პროექტი.

თავისი გადაწყვეტილებით რაიკომის ბიურომ რაიონში გამოჰყო ოთხი უდიდესი პარტიული ორგანიზაცია — სტალინის სახელობის ორთქლმავალ - ვაგონ - სარემონტო ქარხნისა, კიროვის სახელობის ქარხნისა, 26 კომისრის სახელობის ქარხნისა და თბილისის ავტოსარემონტო ქარხნისა. ამ ორგანიზაციებში მოეწყობა სანიმუშო პარტიული სწავლება, რათა მათი გამოცდილების მიხედვით გარდაიქმნას პარტიული სწავლება მთელ რაიონში.

ამ პარტიულ ორგანიზაციებს პარტიის რაიკომმა დასახმარებლად მიამაგრა შემდეგი ამხანაგები: სტალინის სახელობის ორთქლმავალსარემონტო - ქარხანას — ამხ. სალარაძე, კიროვის სახელობის ქარხანას — ამხ. ხუჭუა, თბილისის ავტოსარემონტო ქარხანას — ამხ. ხუციშვილი, 26 კომისრის სახელობის ქარხანას — ამხ. კლეშჩენკო.

რაიკომის გადაწყვეტილება სახავს მთელ რიგ კონკრეტულ ღონისძიებებს, რომლებიც უზრუნველჰყოფენ ამ ორგანიზაციებში პარტიული სწავლების ხარისხის ამაღლებას და აკისრებენ პარტკომების მდივნებს, პროპაგანდისტებსა და პროპსემინართა ხელმძღვანელებს პასუხისმგებლობას რაიკომის გადაწყვეტილების შესრულებისათვის.

პარტიის რაიკომის ეს ღონისძიება, რომელიც ტარდება ამხანაგ ლ. ბერიას ინიციატივით რაიონებში ორ-სამ საწარმოში პარტიული სწავლების სანიმუშოდ დაყენების შესახებ, წარმოადგენს სერიოზულ ნაბიჯს ბოლშევიზმის დაუფლების საქმეში პარტიული ორგანიზაციების მუშაობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის (საქდესი).

იაპონია-მანჯურიის პოლიციის პროვოკაციული მოქმედება

ხაბაროვსკი, 25 ივლისი (საკდესი). როგორც ხარბინიდან იუწყებიან, საბჭოთა მოქალაქეებს შორის იზრდება შეშფოთება და აღშფოთება იაპონიის პოლიციის თარეშის გამო. უკანასკნელი დროის განმავლობაში სულ უფრო აშკარად ცდილობენ აიძულონ საბჭოთა მოქალაქეები, რათა უარი სთქვან სსრ კავშირის მოქალაქეობაზე. ამავე დროს აშკარად ამზადებენ საბჭოთა მოქალაქეების მასობრივ რბევას. პოლიციელები უვლიან სახლებს და განსაკუთრებულ ნიშნებს უკეთებენ იმ სახლებს, რომლებშიც სსრ კავშირის მოქალაქენი ცხოვრობენ. თეთრგვარდიელთა პრესა, იუწყება რა პოლიციის ამ მოქმედების შესახებ, თავის მხრივ ცინიკურად აცხადებს, რომ სახლებზე გაკეთებული ნიშნები „დახმარებას გაგვიწევენ გამოვიცნოთ მტრები". თავისთავად ცხადია, რომ ყოველივე ამას სჩადიან იაპონია-მანჯურიის ხელისუფალთა არა მარტო დასტურით, არამედ მათი მფარველობითაც; როგორც ჩანს, ისინი ვერ ითვალისწინებენ იმას, რომ მოქალაქეთა მდგომარეობა წესრიგდება ურთიერთმოპყრობის საფუძველზე.

ფინეთის ორმა გემმა დაარღვია საბჭოთა საზღვარი

1938 წლის 19 ივლისს ფინეთის ჰიდროგრაფიულმა გემმა „ლირისტომ" და სასაზღვრო კატარღამ „ავ-55" დაარღვიეს საბჭოთა საზღვაო საზღვარი ფინეთის სრუტეში; ისინი ერთნახევარ მილზე შემოვიდნენ საბჭოთა ტერიტორიულ წყლებში.

ორივე გემი დაკავებულია საბჭოთა სანაპირო დაცვის მიერ. სწარმოებს გამოძიება.

1903 — 30-VII — 1938

პარტიის მეორე ყრილობის 35 წლისთავისათვის

ლენინის სიტყვა პარტიის წესდების განხილვის დროს 15 (2) აგვისტოს

უწინარეს ყოვლისა მე მინდა გავაკეთო ორი შენიშვნა კერძო ხასიათისა. ჯერ-ერთი, იმ თავაზიანი (ამას არ ვამბობ ირონიით) წინადადების გამო „მოვრიგდეთო", რომელიც შემოიტანა აქსელროდმა. მე სიამოვნებით გავყვებოდი ამ მოწოდებას, ვინაიდან სრულებითაც არ მიმაჩნია ჩვენი უთანხმოება ისეთ არსებით უთანხმოებად, რომ მასზე იყოს დამოკიდებული პარტიის სიკვდილ-სიცოცხლე. წესდების უხეირო პუნქტისაგან ჩვენ სრულიადაც არ დავიღუპებით! მაგრამ რაკი საქმე მიდგა ორი ფორმულირებიდან ერთ-ერთის ამორჩევაზე, მე სრულიად არ შემიძლია უარვყო ჩემი მტკიცე რწმენა, რომ მარტოვის ფორმულირება **გაუარესებაა** პირვანდელი პროექტისა, გაუარესება, რომელსაც **შეუძლია**, გარკვეულ პირობებში ცოტა ზიანი კი არ მიაყენოს პარტიას. მეორე შენიშვნა შეეხება ამხ. ბრუკერს. სრულიად ბუნებრივია, რომ რაკი ყველგან საარჩევნო პრინციპის გატარება სურს, ამხ. ბრუკერმა ჩემი ფორმულირება მიიღო, რომელიც მხოლოდ ერთადერთია, რაოდენადმე ზუსტად რომ არკვევს პარტიის **წევრის** ცნებას. ამიტომ ჩემთვის გაუგებარია — რად უხარია ამხ. მარტოვს, რომ მე ამხ. ბრუკერი მეთანხმება. ნუთუ ამხ. მარტოვს მართლაც თავისთვის **სახელმძღვანელოდ** გაუხდია ყველაფერი იმის საწინააღმდეგო, რასაც ამბობს ბრუკერი, განურჩევლად მისი მოტივებისა და არგუმენტებისა? გადავდივარ რა საქმის არსებით მხარეზე, უნდა ვთქვა, რომ ტროცკის სრულებით ვერ გაუგია ამხ. პლეხანოვის ძირითადი აზრი, და ამიტომ თავის მსჯელობაში მთლიანად ასცდა საკითხის მთელ არსს. მან ილაპარაკა ინტელიგენტებსა და მუშებზე, კლასობრივ თვალსაზრისზე და მასობრივ მოძრაობაზე, მაგრამ ვერ შენიშნა ერთი ძირითადი საკითხი: ავიწროვებს თუ აფართოვებს ჩემი ფორმულირება პარტიის წევრის ცნებას? მას რომ თავისთვის ეს საკითხი დაესვა, ადვილად დაინახავდა, რომ ჩემი ფორმულირება ამ ცნებას ავიწროვებს, ხოლო მარტოვისა აფართოვებს, განირჩევა რა „ელასტიკურობით" (მარტოვისავე სწორი გამოთქმით). და სწორედ ეს „ელასტიკურობა" პარტიული ცხოვრების ისეთ ხანაში, რომელსაც ჩვენ განვიცდით, უთუოდ კარს უღებს დაქსაქსვის, რყევისა და ოპორტუნიზმის ყველა ელემენტს. ამ მარტივი და ცხადი დასკვნის გასაბათილებლად საჭიროა იმის დამტკიცება, რომ ასეთი ელემენტები არ არსებობენ, ტროცკის კი არც უფიქრნია ეს გაეკეთებინა. და არც შეიძლება ამის დამტკიცება, ვინაიდან ყველამ იცის, რომ ასეთი ელემენტები ბლომად მოიპოვებიან, რომ ასეთები მუშათა კლასშიც არიან. დაცვა პარტიის ხაზის სიმტკიცისა და მისი პრინციპების სიწმინდისა სწორედ ახლა ხდება მით უფრო აუცილებელი, რომ თავის ერთიანობით აღდგენილი პარტია თავის რიგებში მიიღებს ძალიან ბევრ მერყევ ელემენტს, რომელთა რიცხვი სულ უფრო და უფრო იმატებს პარტიის ზრდასთან ერთად. ტროცკიმ მეტად უსწოროდ გაიგო ჩემი წიგნის — „რა ვაკეთოთ"?-ის დედააზრი, როცა იგი ამბობდა, — პარტია არ არის შეთქმულთა ორგანიზაციაო (ეს მოსაზრება ბევრს სხვასაც მოჰყავდა ჩემს წინააღმდეგ). მან დაივიწყა, რომ მე წინადადებას ვიძლევი ჩემს წიგნში მთელი რიგი სხვადასხვა ტიპის ორგანიზაციების შესახებ, დაწყებული ყველაზე კონსპირაციულითა და ყველაზე ვიწრო ორგანიზაციებით და გათავებული შედარებით ფართო და „თავისუფალ" (Lose) *) ორგანიზაციებით. მან დაივიწყა, რომ პარტია უნდა იყოს მხოლოდ მოწინავე რაზმი, ხელმძღვანელი მუშათა კლასის უზარმაზარი მასისა, რომელიც მთლიანად (ან თითქმის მთლიანად) მუშაობს პარტიული ორგანიზაციების „კონტროლისა და ხელმძღვანელობის ქვეშ", მაგრამ არ შედის მთლად და არც შეიძლება მთლად შედიოდეს „პარტიაში". მართლაც, შეხედეთ, რა დასკვნები გამოიტანა ტროცკიმ თავისი ძირითადი შეცდომის გამო. ის გვეუბნებოდა აქ: უცნაური იქნებოდა ჩვენი პარტია, ზედიზედ რომ დააპატიმრონ მუშათა რიგები და ყველა მუშამ განაცხადოს, პარტიას არ ვეკუთვნიო! განა პირიქით არ არის? განა უცნაური არ არის ტროცკის მსჯელობა? მას სამწუხაროდ მიაჩნია ის, რასაც შეუძლია მხოლოდ გაახაროს ყოველი ცოტად თუ ბევრად გამოცდილი რევოლუციონერი. თუ გაფიცვებისა და დემონსტრაციებისთვის ასობით და ათასობით დაჭერილი მუშები პარტიული ორგანიზაციების წევრები არ აღმოჩნდებოდნენ, ეს იმისი დამამტკიცებელი იქნებოდა, რომ ჩვენი ორგანიზაციები ჩინებულნი არიან, რომ ჩვენ ვანხორციელებთ ჩვენს ამოცანას — კონსპირატიულად შევინახოთ ხელმძღვანელების შედარებით ვიწრო წრე და მოძრაობაში ჩავაბათ რაც შეიძლება ფართო მასა.

იმათი შეცდომის ფესვი, რომლებიც მარტოვის ფორმულირებას უჭერენ მხარს, ისაა, რომ ისინი არათუ უგულებელჰყოფენ ჩვენი პარტიული ცხოვრების ერთერთ ძირითად ბოროტებას, არამედ ლოცვა-კურთხევასაც აძლევენ კიდეც ამ ბოროტებას. ეს ბოროტება მდგომარეობს იმაში, რომ თითქმის საყოველთაო პოლიტიკური უკმაყოფილების ატმოსფეროში, სრულიად მალული მუშაობის პირობებში, როცა საქმიანობის უმეტესი ნაწილი მოქცეულია ვიწრო საიდუმლო წრეებში და ხშირად კერძო შეხვედრებშიაც კი, ჩვენთვის უკიდურესად ძნელია, თითქმის შეუძლებელიცაა გავარჩიოთ მოლაყბენი იმათგან, ვინც მუშაობს. და არც გვგონია მოიპოვებოდეს სხვა ისეთი ქვეყანა, სადაც ამ ორი კატეგორიის ერთიმეორეში არევა ისევე ჩვეულებრივი იყოს, ისეთი არევ-დარევა და ზიანი შეჰქონდეს საქმეში, როგორც ეს რუსეთშია. არათუ ინტელიგენციაში, თვით მუშათა კლასის წრეებშიაც სასტიკად ვიტანჯებით ჩვენ ამ ბოროტებისაგან. ამხ. მარტოვის ფორმულირება კი ამ ბოროტებას აკანონებს. ეს ფორმულირება იმისკენ არის მიმართული, რომ **ყველანი** და **ყოველი** გავხადოთ პარტიის წევრად; ამხ. მარტოვი იძულებული შეიქნა ალებინა ეს — „თუ გნებავთ აგრეც არისო", სთქვა მან. ჩვენ კი სწორედ ეს არ გვნებავს! და სწორედ ამიტომ არის, რომ ასე გადაჭრით გამოვდივართ მარტოვის ფორმულირების წინააღმდეგ. სჯობს ათმა ისეთმა, რომელიც მართლაც მუშაობს, არ უწოდოს თავის თავს პარტიის წევრი (ნამდვილი მუშაკები ჩინებს არ ეტანებიან!), ვიდრე ერთ მოლაყბეს მიეცეს უფლება და შესაძლებლობა პარტიის წევრი იყოს. აი პრინციპი, რომელიც მე უცილობლად მიმაჩნია, და რომელიც მაიძულებს ვიბრძოლო მარტოვის წინააღმდეგ. მე შედავებოდნენ, ჩვენ ხომ პარტიის წევრებს არავითარ უფლებებს არ ვაძლევთ, ამიტომ არც რაიმე ბოროტმოქმედებაა შესაძლებელიო. ასეთი პასუხი სრულებით უსაფუძვლოა: თუ ჩვენ არა გვაქვს ნაჩვენები, სახელდობრ რა განსაკუთრებული უფლებები ენიჭება პარტიის წევრს, იქონიეთ მხედველობაში, რომ არც არავითარი მითითება გვაქვს პარტიის წევრთა უფლებების შეზღუდვის შესახებ. ეს ერთი. ხოლო მეორე და რაც მთავარია, უფლებებიც რომ არ მივიღოთ მხედველობაში, ნუ დავივიწყებთ, რომ პარტიის ყოველი წევრი პასუხისმგებელია პარტიისათვის **და პარტია პასუხისმგებელია ყოველი წევრისათვის.** ხოლო ჩვენს პოლიტიკური საქმიანობის პირობებში, როცა ნამდვილი პოლიტიკური დარაზმულობა მხოლოდ-ღა ჩასახულია, პირდაპირ საშიში და საზიანო იქნებოდა ორგანიზაციის არაწევრისათვის მიგვეცა წევრობის უფლება და პარტიისათვის პასუხისმგებლობა დაგვეკისრებინა ისეთ ადამიანთათვის, რომელნიც ორგანიზაციაში არ შედიან (და არ შედიან, შეიძლება, განზრახ). ამხ. მარტოვს შიშის ზარი ეცემოდა იმის გამო, რომ სასამართლოში პარტიული ორგანიზაციის არაწევრს უფლება არ ექნება, მიუხედავად თავისი ენერგიული მუშაობისა, თავის თავს პარტიის წევრი უწოდოს. მე ეს არ მაშინებს. სერიოზულად მავნე იქნებოდა, პირიქით, თუ არასასურველი მხრით წარსდგებოდა სასამართლოს წინაშე ისეთი ადამიანი, რომელიც თავისთავს პარტიის წევრად აცხადებს, თუმცა არცერთს პარტიულ ორგანიზაციას არ ეკუთვნის. შეუძლებელი იქნება იმის უარყოფა, რომ ასეთი პირი ორგანიზაციის კონტროლისა და ხელმძღვანელობის ქვეშ მუშაობდა. ეს შეუძლებელია სწორედ ტერმინის ბუნდოვანობის გამო. ფაქტიურად—ეს ყოვლად უეჭველია — სიტყვები „კონტროლისა და ხელმძღვანელობის ქვეშ" — მიგვიყვანს იქამდე, **რომ არც კონტროლი იქნება, არც ხელმძღვანელობა.** ც. კ-ს არასოდეს არ ექნება იმდენი ძალა, რომ ნამდვილი კონტროლი გაუწიოს ყველა მათ, ვინც მუშაობს, მაგრამ ორგანიზაციაში არ შედის. ჩვენი ამოცანაა **ფაქტიური** კონტროლი მივსცეთ ც. კ-ს ხელში. ჩვენი ამოცანაა — დავიცვათ სიმტკიცე, გამობრძმედილობა და სიწმინდე ჩვენი პარტიისა. ჩვენ უნდა ვეცადოთ, სულ მაღლა და მაღლა ავწიოთ პარტიის წევრის სახელი და მნიშვნელობა, და ამიტომ მე წინააღმდეგი ვარ მარტოვის ფორმულირებისა.

ვ. ი. ლენინი

თხზულებანი. ტომი VI, გვ. 31-33. მესამე რუსული გამოცემა.

---

*) 1. იხ. თხზულებათა IV ტომი, გვ. 562 (ქართ.). რედ.

რეზოლუციის პროექტი დემონსტრაციების შესახებ

ყრილობას მუშათა მასების პოლიტიკური აღზრდის ფრიად დიდმნიშვნელოვან საშუალებად მიაჩნია თვითმპყრობელობის წინააღმდეგ საჯარო დემონსტრაციების გამართვა. ამასთანავე ყრილობა იძლევა რჩევას, ჯერ-ერთი, ვეცადოთ დემონსტრაციებისათვის განსაკუთრებით გამოყენებულ იქნას ისეთი მომენტები და ისეთი პირობები, როცა ცარიზმის რაიმე სისაძაგლეს აღშფოთების გრძნობა გამოუწვევია მოსახლეობის განსაკუთრებით ფართო ფენებში; მეორე, ყველაზე მეტი ძალღონე იქნას გამოყენებული იმისთვის, რომ მუშათა რაც შეიძლება ფართო **მასებმა** მიიღონ მონაწილეობა დემონსტრაციებში, რაც შეიძლება უკეთ იქნას **მოწყობილი** დემონსტრაციები როგორც მათი მომზადების, ისე თადარიგიანობისთვის თვით დემონსტრაციების დროს და ხელმძღვანელობის მხრივ დემონსტრანტების მიერ ჯარისა და პოლიციის მოგერიებაში; მესამე: დავიწყოთ შეიარაღებული დემონსტრაციების მომზადება და ამ მხრივ მტკიცედ მივსდიოთ ც. კ-ს მითითებებს.

ყრილობა აგრეთვე რჩევას აძლევს ყველა კომიტეტსა და პარტიის დანარჩენ ორგანიზაციებს ყოველმხრივ განიხილონ შეიარაღებული აჯანყების მომზადების საკითხი და ეცადონ მთელი ძალღონით გაავრცელონ მუშათა მასებში აჯანყების აუცილებლობისა და გარდუვალობის რწმენა. იმ პრაქტიკულ ღონისძიებებს, რომლებიც უკვე ახლავე შეიძლება მიღებულ იქნას აჯანყების მოსამზადებლად, ყრილობა მხოლოდდამხოლოდ და მთლიანად აკისრებს ც. კ-ს.

ვ. ი. ლენინი

თხზულებათა ტომი VI, გვ. 5. მესამე რუსული გამოცემა.
პირველად დაიბეჭდა 1927 წ. „ლენინსკი სბორნიკში". VI. იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით.



რ.ს.დ.მ.პ. II ყრილობის 35 წლისთავისათვის

სურათზე: „ისკროველთა" უმრავლესობა—პარტიის II ყრილობის დელეგატები.
ვ. ი. ლენინის ხელნაწერის „რ.ს.დ.მ.პ. პროგრამის პროექტის" ერთერთი ფურცელი; ვ. ი. ლენინის ჩანაწერები რ.ს.დ.მ.პ. მეორე ყრილობის მიერ განხილული წესდების პროექტის პირველ პარაგრაფზე; ვ. ი. ლენინის ბროშურის „ნაბიჯი წინ, ორი ნაბიჯი უკან" ერთერთი გვერდი და ბარათი „ყრილობაზე ბრძოლის საერთო სურათი".
ფოტო-რეპროდუქცია („სოიუზფოტოს" საქ. განყოფილება).

რსდმპ მეორე ყრილობის დოკუმენტები

(მოსკოვი, ჩვენი საკ. კორესპონდენტისაგან)

ვ. ი. ლენინის მუზეუმის ერთერთი დარბაზი მიძღვნილია რუსეთის პირველი რევოლუციის წინა წლებისადმი; აქ მოწყობილია რამდენიმე ვიტრინა.

არაჩვეულებრივად ამაღელვებელია აქ გამოფენილი დოკუმენტები. თუმცა დაახლოვებით ოთხი ათეული წელიწადი გვაშორებს ამ დოკუმენტებს, მაგრამ ისინი ცოცხალი ენით მეტყველებენ, და უდიდესი ისტორიული სიმართლის ცეცხლით, თავისი სიმართლის რწმენის ცეცხლით სუნთქავს ლენინის ხელით დაწერილი სიტყვები.

აი პირველი გვერდი ლენინის ხელნაწერისა — პარტიის წესდების პროექტი. ორ ნახევრად გაყოფილი, იგი შეიცავს ერთ მხარეზე წვრილად დაწერილი აბზაცების სვეტს, ხოლო მეორე მხარეზე ჩამატებებს და შესწორებებს, რომლებიც შეავსებენ, განმარტავენ აზრს. აქვეა რამდენიმე გვერდი ლენინის სხვა ხელნაწერისა —ეს არის „შენიშვნები წესდების § 1-ზე გამართული კამათის შესახებ". დახაზული ქაღალდის განიერ ფურცელზე ლენინი მსხვილი ასოებით სწერს ირიბად სათაურს: „შენიშვნები წესდების § 1-ზე გამართული კამათის შესახებ". მეორე გვერდზეა მისი ცალკეული შენიშვნები. ისინი დაწერილია ფანქრით. ლენინი მსხვილ ხაზს უსვამს შემდეგ შესანიშნავ ფრაზას:—„უმჯობესია 10 მუშ. (ე. ი. მუშას—**ვ. ნ.**) არ ვუწოდოთ წევრები, ვიდრე ერთ მოლაყბეს ვუწოდოთ". და შემდეგ წარწერა: „ვიმეორებ: ც. კ-ის ძალა და უფლება, პარტიის სიმტკიცე და სიწმინდე — აი რაშია დედაარსი..." თავისი შენიშვნების მეორე გვერდზე ლენინი სწერს: „რა არის „პარტიული ორგანიზაცია". და ერთი სტრიქონით ქვემოთ, სვამს რა თანასწორობის ნიშანს, იგი აღნიშნავს: „ორგანიზაცია, რომელიც ცნობილია პარტიის მიერ და შეტანილია პარტიულ დაწესებულებათა სისტემაში".

ამაღელვებელ შთაბეჭდილებას ახდენს მუზეუმში გამოფენილი რვეულის ოთხი ფურცელი №№ 62, 63, 64, 65. ეს არის მეორე ყრილობის სხდომათა დღიური, შედგენილი ლენინის მიერ. მე-62 გვერდზე ჩაწერილია: „ორშაბათი. 25 აგვისტოს (დილით) მე-26 (საღამოს). კოოპტაციის საკითხი 6 ს. 30 წ. მე-27 სხდომა (კოოპტაცია უარყოფილია)". მე-63 გვერდზე: „ოთხი ამხანაგიდან არცერთი არ არის თანახმა შევიდეს რედაქციაში". მე-64 გვერდზე: „აქტ. ბრძოლა გავლენისათვის ც. კ-ზე რუსეთში". მე-65 გვერდზე ლენინი სწერს კენჭისყრის შედეგებს: „25 სასარგებლოდ, 1 წინააღმდეგ, 17 თავი შეიკავა". იქვე გვერდით იგი აღნიშნავს: „ფარული ბარათების მიცემა". და შემდეგ: „3 სასარგებლოდ, 17 წინააღმდეგ, 22 წინააღმდეგ. 3—სასარგებლოდ, 19 თავი შეიკავა".

მუზეუმში გამოფენილია რამდენიმე პროექტი რეზოლუციებისა, რომლებიც დაწერილია ლენინის მიერ მეორე ყრილობისათვის, ერთერთი ეს რეზოლუცია „მოსწავლე ახალგაზრდობისადმი დამოკიდებულების შესახებ" შემდეგი სიტყვებით იწყება: „რუსეთის სდმპ მეორე ყრილობა მიესალმება მოსწავლე ახალგაზრდობაში რევოლუციური გზით მოქმედების გაცხოველებას და წინადადებას აძლევს პარტიის ყველა ორგანიზაციას ყოველნაირად შეუწყონ ხელი ამ ახალგაზრდობას ორგანიზებისაკენ მისწრაფებაში, ურჩევს მოსწავლეთა ყველა ჯგუფსა და წრეს თავისი საქმიანობის პირველ რიგში დააყენონ თავის წევრთა შორის მთლიანი და თანმიმდევრული სოციალისტური მსოფლმხედველობის გამომუშავება.

მეორე პროექტია, პროექტი რეზოლუციისა ტერორის შესახებ. ხელნაწერის განიერ ფურცელზე ლენინი მარცხენა ზედა კუთხეში სწერს და ორჯერ უსვამს ხაზს სიტყვას, რომელიც გვამცნობს ხელნაწერის თემას: **ტერორი.**

მუზეუმში შემსვლელნი, რომელნიც დიდხანს ჩერდებიან ხოლმე ამ ვიტრინებთან, ამჟამად, რსდმპ მეორე ყრილობის 35 წლისთავის წინადღეებში, განსაკუთრებული ყურადღებით აკვირდებიან ლენინის ხელნაწერს: „რსდმპ მეორე ყრილობის ამბავი". ზემოთ ლენინის მიერ მსხვილი ასოებით წარწერილია: „ეს ამბავი გათვალისწინებულია მხოლოდ პირადი ნაცნობებისათვის და ამიტომ მისი წაკითხვა ავტორის (ლენინის) თანხმობის გარეშე სხვისი წერილის წაკითხვას უდრის". უკანასკნელი ოთხი სიტყვა ხაზგასმულია სამჯერ. ყრილობის ამბავი იწყება მისი შემადგენლობის აღწერით. „შემდგომის გაგებისათვის, — სწერს ლენინი, — ვიტყვი უწინარეს ყოვლისა ყრილობის შემადგენლობაზე, თუმცა ეს ნაწილობრივ წინწარბენა იქნება. გადამწყვეტი ხმები ყრილობაზე იყო 51 (33 დელეგატი 1 ხმით და 9 ორ-ორი ხმით, 9 „ორხელიანი"). სათათბირო ხმით, თუ არ ვცდები, 10, სულ, მაშასადამე, 52 კაცი." შემდეგ ლენინი მოგვითხრობს ამ ხმების პოლიტიკურ დაჯგუფებაზე.

რსდმპ მეორე ყრილობისადმი მიძღვნილ ერთერთ ვიტრინაში გამოფენილია პატარა ბროშურა, რომელიც დაბეჭდილია 1903 წელს პარტიის ჟენევის სტამბაში. ეს არის ცნობა რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის მეორე მორიგი ყრილობის შესახებ. მის გვერდით არის მეორე ბროშურა რუხი, დროისაგან გახუნებული გარეკანით. გარეკანის ირიბულად მარცხენა ქვედა კუთხიდან მარჯვენა ზედა კუთხემდე დაბეჭდილია სათაური: რუს. სოც. დემ. მუშათა პარტიის მეორე მორიგი ყრილობა". მარცხენა ზედაკუთხეში დაბეჭდილია: „ოქმების სრული ტექსტი". მარჯვენა ქვედა კუთხეში: „ცენტრალური კომ. გამოცემა". ბროშურა დაბეჭდილია ჟენევაში, პარტიის იმავე სტამბაში.

აქვეა გაზეთ „ისკრის" რამდენიმე ნომერი, რომელთაგან ერთერთი იწყება ლენინის სტატიით: „ნაციონალური საკითხი ჩვენს პროგრამაში". გაზეთ „ვპერიოდის" 1905 წლის 20 (7) აპრილის ნომერი ლენინის სტატიით: „ჩემი შენ გითხარიო, გული მოგიკალიო"; ამ სტატიაში ლენინი ამჟღავნებს მენშევიკების თვალთმაქცობას, რომლებმაც შექმნეს ფრაქციული ორგანიზაცია და ცდილობდნენ ლენინისათვის (ბოლშევიკებისათვის) გადაებრალებინათ პარტიის გათიშვა.

ამ ვიტრინების თავზე, კედელზეა დიაგრამა, რომელიც საერთოდ გვისურათებს მეორე ყრილობაზე წარმოებულ ბრძოლას. იქვეა მეორე ყრილობის მომწვევი ორგანიზაციული კომიტეტის სახელოვანი წევრების—პ. ნ. ლეპეშინსკის, ფ. ვ. ლენგნიკის, გ. მ. კრჟიჟანოვსკის, ა. მ. სტოპანის პორტრეტები.

მეორე ყრილობისათვის მზადების პერიოდში ამხანაგი სტალინი დაპატიმრებულ იქნა ბათუმში. ეს მოხდა 1902 წლის 5 აპრილს. ამიერ-კავკასიის ბოლშევიკთა სახელოვან ხელმძღვანელს არ შეეძლო მონაწილეობა მიეღო ყრილობის მუშაობაში. 1902 წლის 6 აპრილს ბათუმის ბოქაულმა „ნავსადგურის ქალაქის პოლიცმეისტერს" გადასცა შემდეგი ცნობა: „პატივი მაქვს ვაუწყო თქვენს მაღალკეთილშობილებას, რომ გუშინ ღამის 12 საათზე მე ალყა შემოვარტყი რუხაძის სახლს, სადაც აგენტურული ცნობებით მუშების კრება იყო, და ძახთაშვის ქარხნის მუშის დარისპან დარახველიძის ბინაში ვნახე მისთვის უცნობი პირები: სასულიერო სემინარიიდან დათხოვნილი, ბათუმში წერილობითი დოკუმენტისა და გარკვეული მოსაქმეობის, აგრეთვე ბინის უქონლად მცხოვრები გორელი იოსებ ჯუღაშვილი..." ეს ქაღალდი —მეფის ჯაშუშის ცნობა ამხანაგ სტალინის პირველი დაპატიმრების შესახებ აგრეთვე წარმოდგენილია მუზეუმში. ხოლო მის გვერდითაა „იუსტიციის სამინისტროს მთავარი საპატიმრო სამმართველოს" ცნობა ბათუმის ოლქის სამხედრო გუბერნატორს ამხანაგ სტალინის სამი წლით აღმოსავლეთ ციმბირში გადასახლების შესახებ. ეს საზიზღარი ქაღალდი დაიწერა 1903 წელს აგვისტოში, ხოლო ნოემბერში გადასახლება მოხდა.

„უმაღლესი ბრძანების საფუძველზე, — ვკითხულობთ დოკუმენტში, — რომელიც გაცემულ იქნა 1903 წ. 9 ივლისს იუსტიციის მინისტრის უქვეშევრდომლესი მოხსენების მიხედვით, — გლეხი იოსებ ბესარიონის-ძე ჯუღაშვილი სახელმწიფო დანაშაულისათვის უნდა გაიგზავნოს აღმოსავლეთ ციმბირში პოლიციის საიდუმლო ზედამხედველობის ქვეშ 3 წლის ვადით. ამის გამო მთ. საპატიმრო სამმართველო მორჩილესად სთხოვს თქვენს აღმატებულებას მოახდინოთ განკარგულება ხსენებული ჯუღაშვილის გადასახლების შესახებ, რათა ხსენებული ჯუღაშვილი, რომელიც ბათუმის საპყრობილეშია, გაიგზავნოს ირკუტსკის სამხედრო გუბერნატორის გამგებლობაში, ნოვოროსიისკ-როსტოვცარიცინითა და სამარით პატიმართა მორიგ პარტიასთან ერთად".

მაგრამ მეფის ჯალათებმა ვერ შესძლეს ლენინის მოძღვრების შემდგომი განვითარების შეჩერება, მათ ვერ შესძლეს გაეტეხათ მისი დიდი მოწაფის, ამხანაგ სტალინის რევოლუციური ნებისყოფა. რსდმპ მეორე ყრილობაზე ბოლშევიკებმა გამოიმუშავეს თავისი ბოლშევიკური ტაქტიკა, ხოლო 1905 წელს, პარტიის მესამე ყრილობაზე, უკვე უფრო ზუსტად განსაზღვრეს იგი. ლენინ-სტალინის მოძღვრებას არ შეიძლებოდა არ გაემარჯვა. და მან გაიმარჯვა და უზრუნველჰყო სოციალიზმის გამარჯვება დედამიწის ერთ მეექვსედ ნაწილზე.

ვ. დვალი

საქ. კ. პ. (ბ) ბათუმის რაიკომის მდივანი

ვიბრძვით ჩაის მაღალი მოსავლისათვის

საქ. კ. პ. (ბ) XI ყრილობაზე ამხანაგმა ლ. ბერიამ, აღნიშნა რა თავის მოხსენებაში საანგარიშო პერიოდის მანძილზე მოპოვებული მიღწევები ჩაის პლანტაციების გაფართოვებისა და მოსავლიანობის ზრდის საქმეში, პარტიული ორგანიზაციების, სამეურნეო ორგანოებისა და ყველა კოლმეურნის საბრძოლო ამოცანად დასახა ჩაის ბუჩქის შემდგომი მოვლა-პატრონობის გაუმჯობესება და მოსავლიანობის გადიდება.

„პარტიული ორგანიზაციების, სამეურნეო ორგანოებისა და ყველა კოლმეურნის საბრძოლო ამოცანად უნდა გახდეს ჩაის ბუჩქის მაღალი მოსავლიანობისათვის შემდგომი ბრძოლა. ჩვენ უნდა მივაღწიოთ იმას, რომ ჩვენი პლანტაციები 1940 წლისათვის საშუალოდ იძლეოდნენ სრულმოსავლიან პლანტაციათა 1 ჰექტარზე 2,5—3 ათას კილოგრამ ჩაის ფოთოლს" (ლ. ბერია).

რაიონის ხელმძღვანელ ორგანოებში მოკალათებული, უკვე მხილებული მავნებლები, ხალხის მტრები, ცდილობდნენ სოფლის მეურნეობის სხვა დარგებთან ერთად ჩაის მოსავლიანობის დაცემას და კოლმეურნეთა შეძლებულობის შეფერხებას. ჩაის პლანტაციებში ციტრუსოვანთა და ტუნგოს გაშენებით, მინერალური სასუქების არასწორად გამოყენებითა და განიავებით, ჩაის ბუჩქების არაწესიერი მოვლით ხალხის მტრებმა ცოტა ზიანი როდი მოგვაყენეს ჩაის მეურნეობის დარგში. მაგრამ მათ დანაშაულზე წაასწრეს. ფაშიზმის ტროცკისტ-ბუხარინელ და სხვა აგენტთა მავნებელთა ძირითადი ბუდეები უკვე განადგურებულია.

ბათუმის პარტიულმა ორგანიზაციებმა, სამეურნეო მუშაკებმა, პარტიულმა და არაპარტიულმა ბოლშევიკებმა ფართოდ გაშალეს მუშაობა საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის 1937 წ. თებერვალ-მარტისა და 1938 წლის იანვრის პლენუმის ისტორიულ გადაწყვეტილებათა და დიდი სტალინის მითითებათა განსახორციელებლად. გაჩაღებულია მუშაობა მავნებლობის შედეგების უსწრაფესი ლიკვიდაციისათვის.

ვანხორციელებთ რა საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1936 წლის V პლენუმის მიერ დასახულ ღონისძიებებს და საქართველოს ბოლშევიკების ნაცადი ხელმძღვანელის ამხანაგ ლ. ბერიას მითითებებს — ჩაის პლანტაციებისა და ცალკეულ ბუჩქების მოვლის გაუმჯობესების დარგში,—უკანასკნელ წლებში მივაღწიეთ მკვეთრ გარდატეხას ჩაის მოსავლიანობის გადიდების საქმეში.

არათანმიმდევრობითი რემონტის, თოხნა-გამოხშირვისა და წამლობის უწესოდ ჩატარების გამო ჩაის მეტწილ პლანტაციებში მეჩხერიანობა 50-60 პროცენტს უდრიდა. 1936 წლისათვის საშუალოდ რაიონში ჩაის პლანტაციების მეჩხერიანობა 37 პროცენტს აღწევდა. მაგრამ 160 ჰექტარზე ნერგებით რემონტის ჩატარებამ მეჩხერიანობა მინიმუმამდე დაიყვანა. თვალსაჩინო გარდატეხა მოხდა აგრეთვე პლანტაციებისა და ცალკეული ბუჩქის მოვლის საქმეში. ჩაის პლანტაციებმა მარტო 1938 წელს მიიღეს 721 ტონა ფოსფოროვანი სასუქი 830 ჰექტარ ფართობზე, 1.100 ტონა აზოტოვანი სასუქი 1.666 ჰექტარზე და 400 ტონა ორგანული სასუქი 40 ჰექტარზე.

სასუქების ეფექტიანობისათვის და ნიადაგის გადარეცხვის საწინააღმდეგოდ მიმდინარე წელს ახლად გაყვანილია 31.800 სიგრძივი მეტრი სადრენაჟო თხრილები და შეკეთებულია ძველი სადრენაჟო ქსელი 66.000 სიგრძივი მეტრი. ცალკეული ნაკვეთებისა და ბუჩქების ინდივიდუალურ მოვლას წინათ ყურადღება არ ექცეოდა, წელს ეს არანორმალური მდგომარეობა გამოსწორებულია. სასუქების შეტანა, თოხნა და მავნებლებთან ბრძოლა სწარმოებს თვითეული ბუჩქის თავისებურების გათვალისწინებით.

მიმდინარე წელს გაძლიერებული ხსნარით წამლობა ჩატარდა ჩაის პლანტაციებში 216 ჰექტარზე და გარდა ამისა, ჩაის ჩრჩილის წინააღმდეგ მექანიკური ღონისძიებანი 63 ჰექტარზე.

ჩაის უხვმა მოსავალმა ციტრუსოვანთა ნაყოფით მიღებულ შემოსავალთან ერთად კოლმეურნეები შეძლებული გახადა. საკოლმეურნეო შრომის დოვლათით აღივსო კოლმეურნეთა ოჯახები. მაგალითად, სტალინის სახელობის კოლმეურნეობას (ორთაბათუმის სოფლსაბჭო) 1936 წელს ჰქონდა ფულადი შემოსავალი 291.418 მანეთი, კოლმეურნეებს შრომადღეზე ერგოთ 10 მან. 38 კაპ. 1937 წელს ამ კოლმეურნეობამ მიიღო 480.939 მან. ფულადი შემოსავალი. შრომადღეზე ხვდათ 11 მან. 80 კაპ. 1938 წელს ხარჯთაღრიცხვით გათვალისწინებულია ფულადი შემოსავალი 707.513 მან. და შრომადღეზე 13 მან. 50 კაპ.

ბათუმის რაიონის კოლმეურნეები გამოეხმაურნენ მახარაძის რაიონის კოლმეურნეობათა გამოწვევას. მათ აიღეს ვალდებულება, რომ ჩაის ფოთლის კრეფაში აგროწესების ზუსტად გატარებით მიიღონ მაქსიმალური მოსავალი.

სტახანოველთა გამოცდილების გაზიარებით ჩამორჩენილ კოლმეურნე მკრეფავებში დღითიდღე მატულობს ჩაის მკრეფავ მოწინავე ადამიანთა რიცხვი. ორდენოსან აიშე გურგენიძესთან (სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი), მარიკა ფუნდუკიძესთან (აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი) და სხვებთან ერთად თავი გამოიჩინეს, ჩაის ფოთლის კრეფაში დახელოვნდნენ ახალგაზრდა აჭარელი გოგონები—სეფურე ქიქავა (საქ. სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი), სევგულ ყურშუბაძე (აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი), ხაჯერი გორგილაძე და ფადიმე დევაძე (კიროვის სახელობის კოლმეურნეობა), მერფულე ისპილ-ოღლი და აიშე მაჭუტაძე (სტალინის სახელობის კოლმეურნეობა), მერფულე ფალავა, შუქრი გურგენიძე, ფადიმე ცენტერაძე — ბერიას სახელობის კოლმეურნეობიდან და სხვ.

საქ. კ. პ. (ბ) XI ყრილობაზე ამხანაგ ლ. ბერიას მოხსენებისა და ამავე ყრილობის რეზოლუციის განხილვამ საკოლმეურნეო და საბჭოთა მეურნეობების პირველადს პარტორგანიზაციებში მიღწევებთან ერთად გამოამჟღავნა მთელი რიგი დეფექტები, რომელთა გამოსწორებისათვის დასახულ იქნა კონკრეტული ღონისძიებანი.

მოწინავე სოფლსაბჭოებისა, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების გვერდით არიან ჩამორჩენილებიც და ეს ჩამორჩენა გამოწვეულია ამავე ორგანიზაციების ხელმძღვანელთა არადამაკმაყოფილებელი მუშაობით ჩაის მოსავლის უდანაკარგოდ აღების საქმეში.

სალიბაურის ჩაის საბჭოთა მეურნეობამ (დირექტორი—ამხ. პაიჭაძე), მიუხედავად საქ. კ. პ. (ბ) აჭარის საოლქო კომიტეტისა და რაიკომის ბიუროს მხრით დროული გაფრთხილებისა, ვერ უზრუნველჰყო ჩაის უხვი მოსავლის უდანაკარგოდ აღება. მეურნეობა მუშა-ხელის ნაკლებობას განიცდის. მეურნეობის ხელმძღვანელმა მუშაკებმა ამ საქმეში ოპერატიული ფხა და უნარი ვერ გამოიჩინეს. ჟდანოვის სახელობის კოლმეურნეობის (თხილნარის სოფლსაბჭო) ჩაის პლანტაციებში აზოტური სასუქის პირველი დოზის შეტანა ვადაზე 20-25 დღით დააგვიანეს. აქ ამჟამადაც არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობა აქვთ ჩაის პლანტაციების გათოხნასა და აზოტური სასუქის მეორე დოზის შეტანაში.

ჩამოთვლილ ნაკლოვანებათა სასწრაფოდ ლიკვიდაციისათვის მობილიზებულია რაიონის აქტივი და ამ აქტივთან ერთად გაფრთხილებული არიან ყველა პარტორგანიზაციის პარტორგები, სოფლსაბჭოებისა და კოლმეურნეობების თავმჯდომარეები და საბჭოთა მეურნეობების დირექტორები, რათა ჩამორჩენილთათვის მოწინავე ადამიანების მდიდარი გამოცდილების გაზიარებით და მშრომელთა ფართო მასების მონაწილეობით უზრუნველჰყონ ჩაის პლანტაციების სარეველა მცენარეებისაგან გაწმენდა და ჩაის უდანაკარგოდ აღება.

დასახულ ღონისძიებათა საფუძველზე მოწინავე კოლმეურნეობებმა აიღეს კონკრეტული ვალდებულებანი შრომის დისციპლინის აწევისა და ჩაის ფოთლის კრეფის ივლისის გეგმის გადაჭარბებით შესრულებისათვის. მათ იკისრეს—თავიანთი გამოცდილება გაუზიარონ ჩამორჩენილ კოლმეურნეობებსა და კოლმეურნეებს. მაგალითად, კალინინის სახელობის კოლმეურნეობამ (ახალშენის სასოფლო საბჭო), რომელსაც ჩაის ფოთლის კრეფის გეგმა 20 ივლისისათვის შესრულებული აქვს 70,7 პროცენტით, იკისრა ჩაის ფოთლის კრეფის ივლისის გეგმის გადაჭარბებით შესრულება. ამავე მიზნით მან ღია წერილით მიმართა კიროვის სახელობის კოლმეურნეობის წევრებს, გააცნო რა მათ თავისი მიღწევები, მოუწოდა — უახლოეს დროში გამოასწორონ ჩამორჩენა ჩაის ფოთლის კრეფაში.

ჩაის ფოთლის კრეფის ივლისის დავალება 20 რიცხვისათვის რაიონს შესრულებული აქვს 57,8 პროცენტით. 422.426 კილოგრამიდან მოკრეფილია 244.351. მოყვანილი ციფრები მოწმობენ, რომ ამჟამად არსებული მდგომარეობა, მთელი რიგი პარტორგანიზაციების, სოფლსაბჭოების, კოლმეურნეობების თავმჯდომარეებისა და საბჭოთა მეურნეობების დირექტორების არასაკმაო მუშაობის შედეგად, ვერ უზრუნველჰყოფს ივლისის გეგმისა და ნაკისრი ვალდებულების შესრულებას, მაშინ, როდესაც ჩაის ფოთლის კრეფის გეგმების მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის ყველა პირობა მოგვეპოვება.

ჩაის ბუჩქის მოვლის ღონისძიებათა ზუსტად გატარებით და ჩაის ფოთლის განუწყვეტელი კრეფის დანერგვით უნდა შევასრულოთ როგორც ივლისის, ისე წლიური გეგმის დავალება 1.359 ტონის რაოდენობით.

„კომუნისტის" სიგნალის შემდეგ

„სოხუმის რაიკომმა დაივიწყა პარტგანათლება"

ჩვენი გაზეთის 23 ივნისის ნომერში მოთავსებული იყო წერილი —„სოხუმის რაიკომმა დაივიწყა პარტგანათლება". როგორც საქ. კ. პ. (ბ) სოხუმის რაიკომი გვაცნობებს, წერილში მოყვანილი ფაქტები ძირითადად სწორია და რაიკომის ბიუროს მიერ მიღებულია ზომები რაიონში პარტგანათლების საქმის გაუმჯობესებისათვის: პროპაგანდისტთა სემინარები ჩამოყალიბდა სკოლების ტიპის მიხედვით, მეცადინეობა ტარდება სისტემატურად; ეწყობა კონსულტაციები; გადაისინჯა კონსულტანტთა შემადგენლობა. ბიურო ახლა ხშირად ისმენს პოლიტსწავლების საკითხებს და ა. შ.

ამავე დროს რედაქცია საჭიროდ მიაჩნია აღნიშნოს, რომ საქ. კ. პ. (ბ) სოხუმის რაიკომი დროზე არ გამოეხმაურა გაზეთში მოთავსებულ აღნიშნულ მამხილებელ მასალას და დროულად არ უპასუხა რედაქციას ამ საკითხზე მიუხედავათ ჩვენი რამდენჯერმე მიმართვისა.

საქართველოს ნავთი

> „ახალი ხელმძღვანელობით განმტკიცებულ საქნავთს, რომელიც უკვე გაწმენდილია იქ მოკალათებული ხალხის მტრებისაგან, ყველა პერსპექტივა აქვს თავისი განვითარებისათვის. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ მიმდინარე წლის დასასრულისათვის უკვე [illegible] იქნება ის გადაცემულ იქნას სამრეწველო ექსპლოატაციისათვის“.
>
> ლ. პ. ბერიას მოხსენებიდან საქ. კ. პ. (ბ) XI ყრილობაზე

საქნავთის მირზაანის საძიებელი უბნის № 72 სტახანოვური, კომკავშირული ჭაბურღილი და მისი ბრიგადა (მარცხნიდან მარჯვნივ პირველ რიგში): ბრიგადირი გ. ქმუტაშვილი, შემცვლელი მემანქანე მარ. რუსანოვა, მბურღავის თანაშემწე ი. ისმაილოვი. (მეორე რიგში) შტანგზე მაღლა მომუშავე ა. ბარსეგოვი და მბურღავი პარტიის მუშა გ. გოგოლაშვილი.

ფოტო ე. სილდირიანცისა

შირაქი დღეს

შირაქის თვალუწვდენელ, ოქროსფრად გადაშლილ ველებზე სიო ნაზად არხევს პურის დამძიმებული თავთავების ზღვას. ღელავს ზღვა და მისი ტალღები ევლება ბორცვებს, გორაკებს, ხევებში ჩადის, კვლავ ზევით მთაზე აიტყორცნება. სრული ილუზიაა აბობოქრებული წყლის სტიქიისა, რომელიც ცუდ ტაროსს აუფორიაქებია, აუნჯღრევია და მისთვის ლურჯი ფერი ყვითლით შეუცვლია. საბჭოთა კომბაინები ხომალდებივით შეჰსევიან ამ ზღვას. გაჩაღებული მკაა.

ველს მექანიზებული, სოციალისტური სოფლის მეურნეობა ჰფლობს. დღეს იგია მისი ამაყი ბატონ-პატრონი, მოქიშპესა და მოდავეს რომ არ ჰგრძნობს.

მაგრამ?...

შეხედეთ მირზაანის მაღლობებს. გადაიხედეთ მის ფერდობებზე, გაიარეთ პატარა შირაქში, შეიხედეთ ტარიბანაზე. იქ ახოვანი ვეჟკაცებივით ამართულან შავი, რუხი და ჯერ კიდევ სუფთა, ნავთის ახალი კოშკები, ზოგანაც ნავთმქაჩავები რიტმიულად ადიხადიან და ნიადაგიდან შავ ოქროს ეწევიან მაღლა.

მაშ, მარტო სოფლის მეურნეობისა არ ყოფილა შირაქი, მარტო პური არ ყოფილა აქაურობის მფლობელი. გაბატონებულ სოფლის მეურნეობას აქ ჩვენი, საბჭოთა საქართველოს პირმშო ნავთის ახალი ინდუსტრიაც უდგას გვერდში, თუმც ჯერ კიდევ მორცხვი პატარძალივით, რომელსაც მხოლოდ ნაზი ღიმილი გამოკრთება ბაგეთაგან და კდემამოსილებით თავს იხრის ამაყი და თავმომწონე ვაჟის წინაშე.

ასეთად გეჩვენებათ მღელვარე პურის ყანების ფონზე ამართული ნავთის კოშკები.

ისტორიული ექსკურსი

არც თუ ისე ხანგრძლივია ისტორია დღეს იქ ამართული ნავთის კოშკებისა, რომელთაც ერთგვარი სიახლე შეუტანიათ ამ უზარმაზარი მინდვრის ერთფეროვან პანორამაში. არსებითად 1929 წლიდან აღმოცენდნენ ისინი შირაქის ნიადაგზე.

მანამდე კი შირაქის ნავთობიანი წიაღი, ზოგ ადგილას მიწის ზედაპირზე ამოჭრილი ნავთით ყურადღებას იქცევდა ჯერ კიდევ მე-19 საუკუნეში და ბედისა და გამდიდრების მრავალ მაძიებელს იზიდავდა. ჩვენი საუკუნის დასაწყისში, როგორც მემატიანე გადმოგვცემს, ვინმე ჩარჩ ოთაროვს უწარმოებია აქ ნიადაგის გაბურღვა, ნავთიც მიუღია და პრიმიტიული წესით უწარმოებია მისი გამოხდა. მემატიანე იმასაც მოწმობს, რომ ამ ჩარჩს შირაქის ნავთი კახეთის ბაზარზე გაჰქონდაო, მაგრამ ამის შემდეგ ოთაროვის „მოღვაწეობაზე“ შირაქში აღარაფერი ისმის. უნდა ვიფიქროთ, რომ მან ამ საქმიდან სარფა ვერ ნახა და გაჰქრა, შირაქის ველიდან გუდანაბადი აიკრა.

შემდეგ აღარა ისმის რა შირაქის ნავთზე.

შირაქის ღრმა ნიადაგში ასეულ საუკუნეების მანძილზე მიძინებული სახალხო დოვლათი კი თავის გამომყენებელს ელოდა.

ასეთებიც მოვიდნენ ბოლშევიკების სახით, რომელთაც მთელი ქართლის ცხოვრება გამოაცოცხლეს, ქართლის ბედი წაღმა შემოაბრუნეს, სიცოცხლის, ბრძოლისა და შემოქმედებისაკენ გამოიწვიეს ქვეყნის ყველა სალი ძალა და მაშინ შირაქის წიაღში მიძინებული შავი ტბორიც შეინძრა და შეტორტმანდა.

ახალგაზრდა საბჭოთა რესპუბლიკამ, ჯერ კიდევ ეკონომიურად სუსტმა, სჯეროდა რა, რომ შირაქის პრობლემის გადაჭრას ქვეყნის შემდგომი აღორძინების საქმეში მეტად გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს, დასახმარებლად კერძო კაპიტალი მოიწვია.

ეს იყო 1925 წელს, როდესაც დაიდო საკონცესიო ხელშეკრულება იტალია-ბელგიის შერეულ სააქციო საზოგადოებასთან შირაქის ნავთის საბადოების შესწავლა-დამუშავებაზე.

უცხოელთა „მოღვაწეობიდან“ შირაქში არ დარჩენილა არავითარი კვალი, გარდა ერთადერთი ჩანგრეულ-ჩახერგილი ჭაბურღილისა, საიდანაც თავდაპირველად ნავთის საკმაოდ მძლავრ შადრევანს დაერტყა, მაგრამ მისთვის უმალვე დაეხშოთ პირი.

1929 წელს ხელისუფლებამ თავათ მოჰკიდა ამ საქმეს ხელი. დაარსდა „საქნავთის“ ტრესტი.

მხოლოდ აქედან იწყება შირაქის წიაღის ნამდვილი შესწავლა-ათვისების ისტორია.

აღსანიშნავია, რომ პირველ ხანებში იგი ხელში ჩაიგდეს ხალხის მტრებმა, მავნებლებმა — ფაშიზმის ტროცკისტ-ბუხარინელმა ჯაშუშებმა, რომელთა მთელი ცდა იქითკენ იყო მიმართული, რათა ტრესტისათვის სახელი გაეტეხნათ და „დაემტკიცებინათ“, რომ საქართველოს ნავთს საწარმოო მნიშვნელობა არ აქვს და აქ მუშაობის წარმოება არავითარ ეფექტს არ მოგვცემსო. ისინი ცდილობდნენ დაეკეტნათ ტრესტი, შეეწყვიტნათ ნავთის ძიება. ისინი ამცირებდნენ სამუშაოებს, ანგრევდნენ მეურნეობას, ანიავებდნენ ქონებას.

მავნებლებმა 1935 წელს ხუთი ამუშავებული ჭაბურღილი გააჩერეს. მათი აღდგენა შემდეგ შეუძლებელი შეიქნა.

სისტემატურად არ სრულდებოდა არც ბურღვისა და არც ნავთის ამოღების გეგმები. მირზაანში პრიმიტიული წესით მოწყობილი ნავთის გადასამუშავებელი ქარხანა საცოდავად გამოიყურებოდა. მეურნეობის ეს ნგრევისა და განადგურების პროცესი განსაკუთრებით 1934 წლიდან დაიწყო და გრძელდებოდა მანამდე, სანამ ხალხის მტრები და მავნებლები მხილებული და მუშათა კლასის რკინის ქუსლით განადგურებული არ იქნენ.

1936 წელს საკავშირო გეოლოგიურ თათბირზე მოსკოვში მავნებლებმა საქნავთიდან კიდეც სცადეს გამოსულიყვნენ თავისი „თეორიით“ და ეთქვათ, საქართველოში საწარმოო ღირებულების მქონე ნავთი არ არისო. მაგრამ ანგარიშში მოსტყუვდნენ, ისინი წააწყდნენ ისეთი ავტორიტეტის მკვეთრ წინააღმდეგობას, როგორიცაა ნავთის გეოლოგიის ცნობილი მეცნიერი აკადემიკოსი გუბკინი. მან როგორც თათბირზე, ისე პრესაში (იხ. ჟურნ. „ნეფტიანნოე ხოზიაისტვო“ 1936 წ.) გაილაშქრა ამ „თეორიის“ წინააღმდეგ და ამტკიცებდა, რომ საქართველოს ნავთს დიდი პერსპექტივა აქვს.

ეს დიდი მეცნიერის ლიტონი სიტყვები როდი იყო. ის ეყრდნობოდა ღრმა მეცნიერულ დაკვირვებებს და შირაქის ნავთის ლაბორატორიული ანალიზების იმ შედეგებს, რომლებიც მოწმობენ, რომ ჩვენი ნავთობი ფრიად მაღალი ხარისხისაა: ბენზინის პროცენტი იქ 22-ს აღწევს, ასანთი ნავთისა („კეროსინისა“)—20-ს, ხოლო ნარჩენები მაღალხარისხოვან ასფალტს იძლევიან.

პარტიამ ამ ფრიად სერიოზულ და მეტად საპატიო საქმეზე საქართველოს ა.ლ.კ.კ. ც. კ-ის ყოფილი მდივანი ამხ. აკაკი მგელაძე გაგზავნა, რომელიც ენერგიულად შეუდგა მუშაობას, და გარდატეხის პირველი ნიშნები უკვე შესამჩნევი შეიქნა.

ნავთის ამოღება

1937 წელს ამოღებული იყო 8.900 ტონა ნავთი, რაც გეგმის 71,5 პროცენტს შეადგენს.

მიმდინარე წლის გეგმა 12.500 ტონის ამოღებას ჰგულისხმობს.

როგორ სრულდება ეს დავალება?

პირველ კვარტალში ამოღებული იყო 1981 ტონა ნავთი. მეორე კვარტალში უნდა ამოეღოთ 3.100 ტონა, ფაქტიურად ამოიღეს 3.252 ტონა (გეგმის 95,8 პროც.). ზრდა პირველ კვარტალთან შედარებით შეადგენს 1.270 ტონას, ანუ 64 პროცენტს.

[illegible] [illegible] სადღეღამისო ამოღება თუ [illegible] დღეღამის განმავლობაში [illegible] 12-15 ტონას, ივნისში, პირველად, რაც საქნავთი არსებობს, გეგმით დასახულ 45 ტონის ნაცვლად საშუალო სადღეღამისო ამოღებამ 50,3 ტონას მიაღწია (111,8 პროც.).

ტრესტის მმართველობას გადაწყვეტილი აქვს თვის ბოლომდე საშუალო სადღეღამისო ამოღება 60 ტონამდე აიყვანოს, ხოლო მესამე კვარტალის შუაში არა ნაკლებ 100 ტონას მიაღწიოს და ამით დაჰფაროს ის დავალიანება, რომელიც მან შემკვიდრეობად მიიღო. ეს დანაკლისი პირველად 2.500 ტონას უდრიდა. ახლა კი 1.500 ტონამდეა ჩამოყვანილი.

ბ უ რ ღ ვ ა

1937 წელს გეგმით უნდა გაებურღვათ 15 ათასი მეტრი, გაბურღული იყო 11,871, ანუ გეგმის 79,1 პროცენტი.

მიმდინარე წლისათვის საძიებელი ბურღვის გეგმა დაწესებულია 30 ათასი მეტრის რაოდენობით.

პირველ კვარტალში ბურღვის გეგმა ჩაშლილი იყო. 5.300 მეტრის ნაცვლად გაბურღვილ იქნა 1.992 მეტრი (37,6 პროც.), რაც შრომისა და სამუშაოების ცუდი ორგანიზაციითა და აგრეთვე შრომის სუსტი დისციპლინით უნდა აიხსნას.

უკანასკნელ ხანებში ეს ნაკლიც სწორდება, უმჯობესდება ბურღვის საქმე. მეორე კვარტალში გაბურღეს 3.948 მეტრი, გეგმის 65,8 პროც. პირველ კვარტალთან შედარებით ბურღვა 1.955 მეტრით გაიზარდა, რაც 98 პროცენტს შეადგენს.

მიუხედავად ამისა, როგორც ვხედავთ, ბურღვის გეგმის შესრულებაში ჩამორჩენას მაინც აქვს ადგილი, რაც მირზაანისა და პატარა შირაქის საძიებელი უბნების ცუდ მუშაობას უნდა მიეწეროს.

მირზაანის უბანში (უფროსი ამხ. გრ. ლომთაძე) უნდა გაებურღათ 4.350 მეტრი, გაბურღეს კი 3.362, პატარა შირაქში 1.650 მეტრის ნაცვლად 487 მეტრი გაბურღეს.

ეს გარემოება უნდა ავხსნათ მხოლოდ და მხოლოდ უბნების ხელმძღვანელთა ყოვლად დაუშვებელი ცუდი მუშაობით.

მირზაანის უბანზე ჯერ კიდევ არ არის სავსებით აღმოფხვრილი შედეგები ძველი მავნებლური ხელმძღვანელობისა, როდესაც აქ მომუშავენი საქმისათვის არავითარ პასუხისმგებლობას არ გრძნობდნენ. დისციპლინა დარღვეული იყო, ვისაც რაც უნდოდა იმას აკეთებდა და ყველა ამისათვის დაუსჯელი რჩებოდა.

ცხადია, ამას დღეს ვეღარ მოითმენენ.

არსებითად კი მოკლე პერიოდში საქნავთშიაც გამოვლინდნენ ადამიანები, ხელმძღვანელები, რომლებიც გვიჩვენებენ მუშაობის ნამდვილ ბოლშევიკურ სტილს და უზრუნველჰყოფენ გეგმების არამც თუ მთლიან, არამედ გადაჭარბებითაც შესრულებას.

№ 76 ჭაბურღილის მბურღავმა ამხ. ჯანბერიძემ, მაგალითად, აპრილში 450 მეტრის ნაცვლად 551 მეტრი გაბურღა, მაისში ტემპები კიდევ უფრო ასწია და 560 მეტრს მიაღწია. მირზაანში ამხ. ჯანბერიძე დღესაც ერთერთ საუკეთესო მბურღავად ითვლება.

ასევე კარგი მუშაობის მაგალითს იძლევა № 72 ჭაბურღილის მბურღავი კომკავშირული ბრიგადა უფროსის ამხ. შაქრო ბაკაშვილის მეთაურობით, რომელმაც 450 მეტრის ნაცვლად მაისში 475 მეტრი გაბურღა, ხოლო ივნისში 300 მეტრის ნაცვლად—358.

საქნავთის ამ საუკეთესო ადამიანების უკეთესი მაჩვენებლებისათვის ბრძოლამ უზრუნველჰყო ის მდგომარეობა, რომ გასული წლის დეკემბრიდან საშუალო სადღეღამისო ბურღვის მრუდი თანმიმდევრად მაღლა მიიწევს. თუ იგი დეკემბერში 24,8 მეტრს შეადგენდა, და იანვარში—26,8-ს, აპრილიდან მკვეთრი აღმავლობა დაეტყო და აპრილში 36 მეტრს მიაღწია, მაისში—45,5-ს და ივნისში 48,6-ს.

შესაფერისად შემცირდა ბურღვამეტრის თვითღირებულებაც. თუ იგი პირველ კვარტალში საშუალოდ 643 მანეთს უდრიდა, ახლა შემცირებულია 306-307 მანეთამდე.

საქნავთში ყველაზე ღრმა ჭაბურღილია № 6—ტარიბანაში; ის 2.500 მეტრს აღწევს, იგი დამთავრებულია საექსპლოატაციოდ. მისი საკვლევო ბურღვა კარგ პერსპექტივებს იძლევა. ჭაბურღილიდან შადრევანს მოელიან. ამისათვის მოსამზადებელი მუშაობა ჩატარებულია. ჭაბურღილზე დადგმულია საშადრევნო არმატურა, ჩვენ იგი 19 ივლისს ვნახეთ. დედამიწის გულიდან წამოსული ნავთი მილში გიშრისფრად იდგა და ბუტბუტებდა. ბარომეტრი 65 ატმოსფერულ დაწოლას უჩვენებდა. ვინ იცის, შესაძლოა, ტარიბანამ საქართველოს ნავთს საქვეყნო სახელი მოუპოვოს. ეს ახლო დღეების ამბავია.

ნავთის კოშკების მშენებლობა

შირაქში ახლა სულ 105 საძიებელი ჭაბურღილია. მათგან 15-დან უკვე ნავთს იღებენ.

მავნებლობის შედეგების აღმოსაფხვრელად საქნავთის ახლანდელ ხელმძღვანელობას გადაწყვეტილი აქვს გადასინჯოს ყველა ჭაბურღილი, რომლებიც განზრახ იყო შეჩერებული და აამუშაოს ისინი. ეს მით უფრო აუცილებელია, რომ ამ 2-3 წლის განმავლობაში არცერთი ჭა არ გაბურღვილა ისეთი, რომ ნავთი არ მოეცა. კერძოდ, № 37 და 60 ჭაბურღილები დღეღამეში 12 ტონა ნავთს იძლევიან.

პირველ კვარტალში ნავთის არცერთი კოშკი არ ყოფილა აგებული. მეორე კვარტალში აიგო, დამონტაჟდა და ამუშავდა ოთხი კოშკი.

ცუდად მუშაობს ტრესტის სამშენებლო კანტორა, რომელმაც აქამდე ვერ შესძლო თავისი მუშაობის გარდაქმნა. ჩამორჩება სამონტაჟო განყოფილებაც, რომელიც ვერ უზრუნველჰყოფს კოშკების დროულ დამონტაჟებას და მათს ექსპლოატაციაში გადაცემას.

ამ ნაკლოვანებათა გამოსწორებას სერიოზული ყურადღება უნდა მიაქციონ ხსენებული დარგების ხელმძღვანელებმა.

საქნავთის პატარა-შირაქის საძიებელი უბნის № 3 ჭაბურღილის სტახანოვური ბრიგადა.
სურათზე: (წინა რიგში, მარჯვნიდან მარცხნივ): ჭაბურღილის უფროსი ფ. ლესნოვი, მბურღავის თანაშემწე მ. ბოჩინევსკი, შტანგზე მაღლა მომუშავე ე. ტენიშჩევი. (მეორე რიგში) მბურღავი ა. სინიცინი, ჩამონგრევის წინააღმდეგ ბრძოლის ტექნიკოსი რ. სიაჩინი, მბურღავი პარტიის მუშა თ. ვასილიევი.

ფოტო ე. სილდირიანცისა

*

ნავთის გადამუშავება

მირზაანში არის ნავთის გადამამუშავებელი ქარხანა, რომელიც აქამდე პრიმიტიული წესით მუშაობდა. ახლა მოხდენილია მისი ერთგვარი გაუმჯობესება, ხოლო პარალელურად მიდის ძირეული რეკონსტრუქცია.

ქარხანა ამჟამად დღეღამეში 45 ტონა ნავთობს ამუშავებს და იძლევა: 7 ტონა ბენზინს, 8 ტონა ასანთ ნავთს („კეროსინს“) და 10 ტონა სალიარკას. ნავთის გადამუშავებიდან დიდძალი ნარჩენები რჩება, კარგი პროდუქტებით მდიდარი. ვინაიდან ქარხანა ზეთის გამომუშავებას ვერ ახდენს, განზრახულია აიგოს ასფალტის ქარხანა, რომელიც მაღალხარისხოვან პროდუქტებს მოგვცემს.

ამჟამად ქარხნის პროდუქცია სავსებით უზრუნველჰყოფს მთელი ტრესტისა და რაიონის მოთხოვნილებას საწვავი მასალის მხრივ. რეკონსტრუქციის შემდეგ მირზაანის ნავთსახდელი ქარხანა დღეღამეში 75 ტონაზე მეტ ნავთობს გადაამუშავებს.

მეტი ყურადღება სტახანოვურ მოძრაობას

ხალხის პირსისხლიანი მტრები საქნავთში ყოველნაირად აფერხებდნენ სტახანოვური მოძრაობის განვითარებას. ხალხის მტრების მხილებისა და მათი ულმობელი განადგურების შემდეგ სტახანოვური მოძრაობა გაძლიერდა. მუშათა და ინჟინერ-ტექნიკური პერსონალის საერთო რაოდენობიდან—977 კაციდან საქნავთს ამა წლის პირველ კვარტალში 274 სტახანოველი და დამკვრელი ჰყავდა; მეორე კვარტალში სტახანოველთა და დამკვრელთა რიცხვი 301-მდე გაიზარდა.

სტახანოველთა შორის გამომუშავების დღიური ნორმების გადაჭარბებით შესრულების მხრივ ყველაზე მეტად გამოირჩევიან: მ. ახმედოვი, ვახ. მჭედლიშვილი, ა. რახინი, ს. კრასკოვი, ნ. გლადჩენკო და სხვ. ისინი დღიურ ნორმებს 207-275 პროცენტით ასრულებენ, მაგრამ სტახანოვური მოძრაობის განვითარების ახლანდელი დონე საქნავთისათვის სრულიადაც არ არის საკმარისი. საქნავთში სტახანოველობა ჯერ კიდევ სტიქიურ ხასიათს ატარებს.

საქნავთის მუშაობაში ყველაზე მტკივნეული ადგილია ის, რომ სტახანოველობა სათანადო ხელმძღვანელობას ვერ პოულობს. სტახანოვური მოძრაობის მთელი სიგრძე-სიგანით გაშლას კი, ტრესტისათვის დიდი ეფექტის მიცემა შეუძლია.

თითქოს ეს ცხადი უნდა იყოს, მაგრამ პროფორგანიზაცია სტახანოველთა ახალი ძალების გამოსავლინებლად არაფერს აკეთებს. რაისარეწკომის ხელმძღვანელები (თავმჯდომარე—ამხ. შ. ბოსტაშვილი) სტახანოველებს ჯამაგირის ნუსხებში ეძებენ. თუ ამა თუ იმ მუშამ ამა და ამ თვეში მეტი ხელფასი მიიღო, ის უკვე სტახანოველთა სიაში შეაქვთ. ეს არის მთელი „მუშაობა“ პროფორგანიზაციისა სტახანოველთა რიგების გასაფართოვებლად. სოციალისტური შეჯიბრების გაშლა, სტახანოველთა გამოცდილების გაზიარების მოწყობა და მათი დაჯილდოვება წახალისების მიზნით,—ეს ჯერ კიდევ არ გამხდარა საქნავთში პროფორგანიზაციის მუშაობის ქვაკუთხედად.

რა მუშაობას აწარმოებს პარტიული ორგანიზაცია (პარტკომის მდივანი—ამხ. ვ. მღვდელაძე) სტახანოვური მოძრაობის გასაშლელად? პირდაპირ შეიძლება ითქვას, რომ საქნავთის პარტიული ორგანიზაცია კი არ ხელმძღვანელობს სტახანოვურ მოძრაობას, არამედ კუდში მისჩანჩალებს მას.

ნუთუ დრო არ არის საქნავთის კომუნისტებმა და პარტიულმა კომიტეტმა თავი დააღწიონ მასების კუდში ჩანჩალს და წინ გაუძღვნენ მუშებს? როგორ არ ესმით ამის აუცილებლობა საქნავთელ კომუნისტებს?

არა ჩანს კომუნისტების ავანგარდული როლი. წარმოებაში მომუშავე ზოგიერთი კომუნისტი შრომის დისციპლინის დარღვევის „მაგალითს“ იძლევა. მაგალითად, პარტიის წევრმა ჩუბინიძემ სამუშაო გააცდინა სამ დღეს, პარტწევრობის კანდიდატი ცქიტიშვილი № 60 ჭაბურღილზე სამი დღის განმავლობაში არ გამოცხადებულა სამუშაოდ. ამისათვის ცქიტიშვილს მირზაანის საძიებელი უბნის უფროსმა საყვედური გამოუცხადა, ხოლო პარტიულ კომიტეტს ამ ფაქტებისათვის ყურადღება არ მიუქცევია. აქედან საჭირო დასკვნები არ გამოუტანია.

საქნავთის მირზაანის საძიებელი უბნის № 72 სტახანოვური, კომკავშირული ჭაბურღილის უფროსი ამხ. შ. ბაკაშვილი.

ფოტო ე. სილდირიანცისა

წყალი, გზები, ენერგეტიკა

საქნავთში საკმაოდ მოიპოვება გამორკვეული საწარმოო ფართობები, რაც სავსებით შესაძლებელს ხდის სარეწაოების გადაყვანას სამრეწველო ექსპლოატაციაზე. ეს გარემოება კი მტკიცედ მოითხოვს წყლის, გზების, ენერგეტიკის და სხვა საკითხების დროულად გადაჭრას. თუ ყველა ეს სამუშაო წელსვე არ იქნა უზრუნველყოფილი, ისე ძნელი იქნება სამრეწველო ექსპლოატაციაზე გადასვლა. წყალსადენის, მისი ქსელის, გზებისა და თიხის ხსნარის მილსადენისათვის თანხები უკვე გაღებულია, საგზაო მშენებლობა დაწყებულია და წელს 15 კილომეტრი გზა უნდა იქნას გაყვანილი. რაც შეეხება წყალსადენს, ამ მხრივ მდგომარეობა ვერ არის სანუგეშო.

წყალსადენის დაპროექტება დავალებული ჰქონდა „აზნეფტეპროექტს“, ხოლო მუშაობა უნდა ეწარმოებინა „აზნეფტსტროის“, მაგრამ მათ ეს საქმე ჩაშალეს. ტრესტი იძულებული გახდა ეს საქმე საქართველოს კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატისათვის მიენდო. მისი საგამოკვლევო პარტია 20 ივლისს ჩავიდა შირაქში ადგილობრივი პირობების შესასწავლად. საჭიროა ამხ. ლოლაძემ პირადად უხელმძღვანელოს ამ ფრიად პასუხსაგებ საქმეს, უზრუნველჰყოს წყალსადენის პროექტის დროულად შედგენა და შემდგომი სამუშაოების გაშლა, რადგან წყალს ნავთის მრეწველობაში გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს, მასზე დიდად არის დამოკიდებული სარეწაოების ექსპლოატაციაში გადაცემა.

შემდეგ, პირველი რიგის ამოცანას შეადგენს აგრეთვე სარეწაოების ელექტროენერგიით უზრუნველყოფა. ეს საქმეც ცუდ მდგომარეობაშია. სარეწაოებს ენერგია ალაზანჰესიდან უნდა მიეწოდოს. ამჟამად ტრესტს არცერთი მეტრი მავთული არ მოეპოვება გადამცემი ხაზის გასაყვანად.

საჭიროა ზომების მიღება, რათა მავთული გამონახულ იქნას და დაჩქარდეს გადამცემი ხაზის მშენებლობა.

ცუდ მდგომარეობაშია აგრეთვე კომუნალური მშენებლობა. ტრესტის ყოფილ მავნებლურ ხელმძღვანელობას ამ სასიცოცხლო საკითხზე არ უზრუნვია; საბინაო მშენებლობის მხრივ არსებითად არაფერი არ არის გაკეთებული და წლევანდელ ფინანსიურ გეგმაში გათვალისწინებულიც არაფერია, რაც დიდ შეცდომად უნდა ჩაითვალოს.

ხელმძღვანელმა ორგანოებმა ამ საკითხზე უნდა გაამახვილონ ყურადღება, რადგან კადრების დასაბინავებლად უკვე ადგილი აღარ მოიპოვება. ტრესტი კი კადრების დიდ სიმცირეს განიცდის.

საქნავთის პერსპექტივები

ახლა მზადება იმ მხრივ მიდის, რომ სამრეწველო ექსპლოატაციაში გადავიდეს მირზაანის უბანი. ამისათვის უახლოეს ხანში გაიშლება ნავთის შესანახი რეზერვუარებისა და ნავთსადენის მშენებლობა კახეთის რკინიგზის მახლობელ პუნქტამდე.

გარდა იმისა, რომ უკვე საკმაოდ მოიპოება გამოკვლეული ფართობები, რაც სამრეწველო ექსპლოატაციაზე გადასვლას შესაძლებელს ხდის, დიდი რაოდენობა ფართობებისა კიდევ გამოსაკვლევია. ეს შეეხება კახეთში ბაიდოს, მლაშეხევისა და ლელვის-წყლის რაიონებს, რომლებიც იძლევიან იმის საფუძველს, რომ მიღებული იქნება სამრეწველო მნიშვნელობის ნავთი.

ამასთან საქნავთს თავისი საძიებელი სამუშაოები გადააქვს აგრეთვე სუფსასა და ნორიო-მარტყოფში, რომლებიც უსათუოდ დიდი პერსპექტივის მქონენი არიან.

ამგვარად, არის ყველა წინაპირობა იმისათვის, რომ საქართველო ახლო მომავალში გახდეს ნავთის მეორე საწარმოო ბაზად ამიერ-კავკასიაში.

O

მართალია, საქნავთში უეჭველად აქვს ადგილი საგრძნობ გარდატეხას, მაგრამ ეს სრულიადაც არ აძლევს ტრესტის ხელმძღვანელობას გულდამშვიდების უფლებას. მუშაობა ჯერ მხოლოდ იწყება, მთავარი საქმე წინ გვიდგას.

ტრესტის ხელმძღვანელობამ უფრო მტკიცედ და გადაჭრით უნდა გაშალოს ბრძოლა ბოლშევიკური წესრიგის დამყარებისათვის.

ან. კილენჯერიძე
ს. ყურაშვილი

ივლისი, 1938 წ.
წითელი-წყარო.

საქნავთის პატარა-შირაქის საძიებელი უბნის № 3 სტახანოვური ჭაბურღილი [illegible] უბნის გეოლოგი, კომკავშირელი ი. მესხი, რომელიც უშუალოდ ხელმძღვანელობს № 3 ჭის გაბურღვის სამუშაოებს.

ფოტო ე. სილდირიანცისა

მშვიდობიანობის დაცვის საერთაშორისო კონფერენცია

პარიზი, 24 ივლისი (საკდესი). გუშინ დილით პარიზში გაიხსნა მშვიდობიანობის დაცვისა და მშვიდობიანი ქალაქების ბომბარდირების წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო კონფერენცია, მოწყობილი მშვიდობიანობისათვის მსოფლიო მოძრაობის ხელმძღვანელობის მიერ. კონფერენციაზე შეიკრიბა ათასზე მეტი დელეგატი, რომლებიც 30 ქვეყანას წარმოადგენენ. კონფერენცია გახსნა მშვიდობიანობის მსოფლიო მოძრაობის გენერალური საბჭოს თავმჯდომარემ, ლორდ რობერტ სესილმა. დელეგატთა შორის არიან: პიერ კოტი, ინგლისის დეპუტატი ბეკერი, ამერიკელი დეპუტატი ატკინსონი, პოლ ბონკური, ლეონ ჟუო, პროფესორი პოლ ლანჟევენი, ფრენსის ჟურდენი, მარსელ კაშენი, ჟაკ დიუკლო და მთელი რიგი გამოჩენილი ფრანგი, ინგლისელი, ამერიკელი, გერმანელი, იტალიელი, ჩეხოსლოვაკი და ესპანელი მწერლები და სხვ.

კონფერენცია აღინიშნა ესპანეთისა და ჩინეთის ხალხებთან სოლიდარობის ახალი გამომჟღავნებით. კერძოდ, დილის სხდომის დამთავრებისას მქუხარე ოვაციებით შეხვდნენ პიერ კოტის განცხადებას იმის შესახებ, რომ კონფერენციის შემდეგ სხდომებზე ითავმჯდომარეობენ ესპანელი დელეგატები პასიონარია და მარტინეს ბარიო.

სიტყვით გამოსულმა საფრანგეთის შრომის საყოველთაო კონფედერაციის გენერალურმა მდივანმა ლეონ ჟუომ განაცხადა: „საჭიროა, რომ ესპანეთი და ჩინეთი ძლევამოსილი გამოვიდნენ ბრძოლიდან, რომელსაც ისინი აწარმოებენ ფაშისტ შეთქმულთა ძალებისა და უცხოელი ინტერვენტების წინააღმდეგ. მხოლოდ ამ გზით შეიძლება მშვიდობიანობის გადარჩენა“. დიდი სიტყვით გამოვიდა ესპანეთის პარლამენტის თავმჯდომარე მარტინეს ბარიო.

მარტინეს ბარიო, შეჩერდა რა ომის მიმდინარეობაზე ესპანეთში, განაცხადა, რომ „თებერვლიდან მოკიდებული ესპანეთის მთავრობას არ დაუშვია არცერთი საჰაერო ოპერაცია მტრის ზურგის წინააღმდეგ. მიუხედავად ამ ჰუმანური პოზიციისა, მოწინააღმდეგე ესვრის და ყუმბარებს უშენს რესპუბლიკელთა ქალაქებს. ხანდახან ყუმბარების დაშენა ერთსა და იმავე დღეს 4 და 5-ჯერ ხდება.

ეს საჰაერო ბომბარდირება არავითარ ოპერაციებს არ ისახავს სამხედრო ობიექტების წინააღმდეგ. ფაშისტები ცდილობენ დააშინონ არამარტო ესპანეთი, არამედ მთელი ევროპაც. მაგრამ ესპანეთი, განაცხადა ბარიომ, მამაცურად იბრძვის თავისი დამოუკიდებლობის შესანარჩუნებლად“.

ბეიპინის ნაციონალური აკადემიის პრეზიდენტმა პროფესორმა ლი ინ-იუნმა კონფერენციას უამბო ჩინელი ხალხის გმირული ბრძოლის შესახებ და ჩინელი ხალხის მისწრაფების შესახებ გააერთიანოს მთელი თავისი ძალები იაპონელთა თავდასხმისათვის წინააღმდეგობის გასაწევად.

შემდეგ სიტყვით გამოვიდა ჟაკ დიუკლო — საფრანგეთის დეპუტატთა პალატის თავმჯდომარის მოადგილე, საფრანგეთის კომუნისტური პარტიის მდივანი.

„დამნაშავენი მარტო აგრესორები როდი არიან, — ამბობს დიუკლო, — დამნაშავენი არიან ისინიც, ვინც თავისი სულმოკლეობითა და სილაჩრით ხელს უწყობენ აგრესორებს“. დიუკლო მოითხოვს აღდგენილ იქნას რესპუბლიკური ესპანეთის უფლება შეიძინოს საჭურველი და შეწყვეტილ იქნას დანაშაულობანი, რომელთაც ესპანეთის რესპუბლიკის წინააღმდეგ სჩადიან. „საჭიროა, რესპუბლიკურ ესპანეთს მიეცეს საზენიტო ქვემეხები, რათა მან დაიცვას ქალები, ბავშვები და მოხუცები. საჭიროა, რესპუბლიკურ ესპანეთს მიეცეს გამანადგურებელ თვითმფრინავთა ესკადრილიები, საჭიროა გაიხსნას საზღვარი, შეწყდეს სამარცხვინო ბლოკადა, რომელიც სულს უხუთავს რესპუბლიკურ ესპანეთს“.

დასასრულ დიუკლომ გამოსთქვა რწმენა, რომ ესპანეთის რესპუბლიკა საბოლოო გამარჯვებას მოიპოვებს.

სხდომის დასასრულს კონფერენციაზე გამოვიდა ცნობილი ამერიკელი მწერალი თეოდორ დრაიზერი. ყველა ანტიფაშისტისა და მშვიდობიანობის მომხრის ძირითადი ამოცანა არის, — სთქვა დრაიზერმა, — გამონახონ მეთოდები, რომელნიც შესძლებენ გადაჭრით ბოლო მოუღონ ფაშისტთა აგრესიებსა და ფაშიზმს.

○

პარიზი, 24 ივლისი (საკდესი). მშვიდობიანობის დაცვისა და მშვიდობიანი ქალაქების ბომბარდირების წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო კონფერენციის სხდომაზე, რომელიც ნასადილევს შესდგა, სიტყვებით გამოვიდნენ მარსელ კაშენი, ინგლისის პარლამენტის დეპუტატი ატოლის ჰერცოგი — ქალი, პოლ ბონკური და სხვ.

კონფერენციის მიერ გამოყოფილმა მომარაგების კომისიამ მიიღო რეზოლუცია, რომელიც იძლევა წინადადებას შეიქმნას აგრესიის მსხვერპლთა დახმარების მუდმივი საერთაშორისო კომისია. კომისიამ წინადადება შეიტანა აგრეთვე გაეგზავნოს მიმართვა პრეზიდენტ რუზველტს იმ მიზნით, რომ ა. შ. შტატების მთავრობა დაეხმაროს ორ მილიონ ესპანელ ლტოლვილს, რომლებიც რესპუბლიკური მთავრობის ტერიტორიაზე იმყოფებიან.

მშვიდობიანი ქალაქების ბომბარდირების წინააღმდეგ ზომების შემმუშავებელი კომისია თავის რეზოლუციაში მოითხოვს, რათა კონფერენციის დელეგატებმა მიაღწიონ იმას, რომ მათმა მთავრობებმა გააუქმონ ყოველგვარი შეზღუდვა თავდაცვის საშუალებათა მიწოდებისა იმ ხალხებისათვის, რომელთაც განიცადეს თავდასხმა და უარი სთქვან იმ სახელმწიფოთათვის საფინანსო დახმარებაზე, რომელნიც პასუხისმგებელნი არიან მშვიდობიანი მოსახლეობის ბომბარდირებისათვის. რეზოლუცია მოითხოვს, რათა დაწესდეს ემბარგო ნავთზე, ლითონებზე და სხვა ნედლეულზე, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნას ბომბარდირებისათვის, აგრეთვე ჩატარდეს კამპანია მთელი მსოფლიოს საზოგადოებრივი აზრის მობილიზებისათვის იმ მიზნით, რომ მშვიდობიანი ქალაქების ბომბარდირების საკითხი აღიძრას ერთა ლიგის სექტემბრის სესიაზე. შემდეგ რეზოლუცია დაჟინებით მოითხოვს, რათა გაიშალოს მასობრივი ბოიკოტი იმ სახელმწიფოთა წინააღმდეგ, რომელნიც პასუხისმგებელი არიან მშვიდობიანი ქალაქების ბომბარდირებისათვის.

კონფერენციის გადაწყვეტილებანი

პარიზი, 25 ივლისი (საკდესი). მშვიდობიანობის დაცვისა და მშვიდობიანი ქალაქების ბომბარდირების წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო კონფერენციამ, რომელმაც დაასრულა თავისი მუშაობა, ზოგადი ხასიათის ძირითადი რეზოლუციის გარდა, მიიღო სპეციალური გადაწყვეტილებანი ესპანეთის, ჩინეთისა და ჩეხოსლოვაკიის საკითხებზე. რეზოლუცია ჩინეთის საკითხზე აღნიშნავს, რომ „ჩინელი ხალხი, რომელიც იბრძვის იაპონელთა აგრესიის წინააღმდეგ, იცავს საერთაშორისო მშვიდობიანობისა და დემოკრატიის საქმეს“. რეზოლუცია ესპანეთის საკითხზე სამარცხვინო ბოძზე აკრავს იტალია - გერმანიის ინტერვენციას და მოითხოვს, აღდგენილ იქნას ვაჭრობა რესპუბლიკურ ესპანეთთან და პროტესტს აცხადებს პირენეის საზღვრის დახურვის წინააღმდეგ. რეზოლუციაში ჩეხოსლოვაკიის საკითხზე კონფერენცია მიესალმება ჩეხოსლოვაკიის მთავრობის ენერგიას, რომელიც მან 21 მაისს გამოიჩინა და აღნიშნავს, რომ უმცირესობათა მდგომარეობა ჩეხოსლოვაკიის სახელმწიფოში შეუდარებლად უკეთესია, ვიდრე ჩეხოსლოვაკიის მეზობელ სახელმწიფოთა უმრავლესობაში. კონფერენციას მიაჩნია „შეუწყნარებლად და საშიშრად უმცირესობათა პრობლემის გადაჭრის ძიება საიდუმლო დიპლომატიის საშუალებებით, ჩეხოსლოვაკიისა და ერთა ლიგის ხელმძღვანელთა გვერდის ავლით“.

მიღებულია მიმართვა მშვიდობიანობისათვის საყოველთაო მოძრაობის ყველა სექციისადმი, რომელთაც წინადადება ეძლევათ ზეიმით აღნიშნონ 1939 წლის 28 ოქტომბერი — ჩეხოსლოვაკიის დამოუკიდებლობის 20 წლისთავი. კონფერენციის მონაწილეები მქუხარე ტაშით მიესალმნენ ესპანელი ხალხის გმირ ქალს დოლორეს იბარურის (პასიონარიას).

ინგლისი ზეგავლენას ახდენს ჩეხოსლოვაკიის მთავრობაზე

პრაღა, 24 ივლისი (საკდესი). გუშინ ინგლისის პრაღელი ელჩი ნიუტონი მიიღო პრეზიდენტმა ბენეშმა, ამასთანავე ნიუტონმა ორჯერ ინახულა პრემიერ-მინისტრი გოჯა. საუბრის თემას შეადგენდა ინგლისის მთავრობის წინადადებანი, რომლებიც დაჟინებით მოითხოვენ, რათა ჩეხოსლოვაკიის მთავრობა დასთანხმდეს შემდგომ დათმობებზე ჰენლაინის სუდეტელ გერმანელთა პარტიისადმი. როგორც მთავრობასთან ახლო მდგომ წყაროებიდან გადმოგვცემენ, ნიუტონმა „ურჩია“ ჩეხოსლოვაკიის მთავრობას იმ შემთხვევაშიც კი არ შეწყვიტოს მოლაპარაკება სუდეტელ გერმანელთა პარტიასთან თუ იგი უარს განაცხადებს „ეროვნებათა კოდექსისა“ და მასთან დაკავშირებული კანონპროექტის მიღებაზე ენის თანასწორუფლებიანობისა და ადმინისტრაციული მმართველობის რეფორმის შესახებ.

გზადაგზა ინგლისელმა ელჩმა გადაკვრით აღნიშნა, რომ ინგლისი აუცილებლად სთვლის, რათა ჩეხოსლოვაკიის მთავრობა დასთანხმდეს შემდგომ დათმობებზე სუდეტელ გერმანელთა პარტიის წინაშე, კერძოდ, განზრახული პროვინციული ლანდტაგებისა და მათთან მოსაწყობი კურიების კომპეტენციის საკითხებში, და არ შეიტანოს კოდექსი პარლამენტში განსახილველად მანამდე, სანამ „ჰენლაინელებთან საბოლოოდ არ იქნება მოწესრიგებული ყველა საკითხი“. ინგლისი, ამგვარად, იძულებულს ხდის ჩეხოსლოვაკიის მთავრობას ფაქტიური კაპიტულაცია მოახდინოს ჰენლაინ-ჰიტლერის წინაშე და დააკმაყოფილოს ჰენლაინელთა 7 ივლისის მემორანდუმის ძირითადი მოთხოვნანი.

ინგლისის დღემდე უმაგალითო ზეგავლენით ჩეხოსლოვაკიის მთავრობა, როგორც სჩანს, დასთანხმდა მთელ რიგ ახალ დათმობებზე ჰენლაინისადმი. შინაგან საქმეთა სამინისტრომ გუშინ სასწრაფოდ დაამტკიცა სუდეტის ოლქის მუნიციპალიტეტების ყველა მერი, რომელთა უმრავლესობა ჰენლაინელებს ეკუთვნის. ოფიციალურად იუწყებიან, რომ მთავრობა ხელს იღებს წინადადებაზე საგანგებო რწმუნებათა შესახებ იმის გამო, რომ „მოტივები, რომელთა მიხედვით წამოყენებული იყო საგანგებო რწმუნებათა მოთხოვნა, ამჟამად უკვე აღარ არსებობს“.

გუშინ საღამოს პრემიერმა გოჯამ მიიღო სუდეტელ გერმანელთა პარტიის წარმომადგენლები კუნდტი და როში, რომელთაც შეუთანხმდა სუდეტელ გერმანელთა პარტიასთან „ეროვნებათა კოდექსის“ განხილვის წესის შესახებ. გოჯამ ამასთანავე განაცხადა, რომ კანონპროექტების შედგენისას მთავრობა ანგარიშს უწევდა ჰენლაინელთა მემორანდუმს.

გამოქვეყნებულია მთავრობის უახლოესი მუშაობის გეგმა „ეროვნებათა კოდექსისა“ და დამატებითი კანონპროექტების გაფორმების დარგში. 26 ივლისს შესდგება მინისტრთა კაბინეტის სხდომა, რომელიც საბოლოოდ დაამტკიცებს ენათა თანასწორობის კანონს, „ეროვნებათა კოდექსის“ ტექსტსა და ადმინისტრატიული მმართველობის რეფორმის კანონპროექტის პირველ ნაწილს.

მთავრობის მიერ კანონპროექტების დამტკიცების შემდეგ 26 ივლისს ისინი გადაეცემა სუდეტელ გერმანელთა პარტიას დაწვრილებით შესასწავლად, რის შემდეგ დაიწყება ეგრეთწოდებული „ნამდვილი“ მოლაპარაკება, რასაც ჰენლაინელები დაჟინებით მოითხოვენ.

მთავრობის ახალი დათმობანი ჰენლაინელებისადმი, რომლებზედაც იგი დასთანხმდა ინგლისისა და საფრანგეთის დიპლომატიის ზეგავლენით, უფროდაუფრო მზარდ შეშფოთებას იწვევს ხალხის ფართო მასებს შორის. ჩეხოსლოვაკიის პრესა დიდ უკმაყოფილებას გამოსთქვამს ჩეხოსლოვაკიის შინაურ საქმეებში ინგლისის უხეში ჩარევისა და მთავრობის დამთმობლობის გამო.

საომარი მოქმედება ჩინეთში

(საკდესის ხანკოუელი და ლონდონელი კორესპონდენტების ცნობების მიხედვით)

ცენტრალურ ჩინეთში

სააგენტო „სენტრალ ნიუსი“ იუწყება სანაპირო ჯებირების გარღვევის შესახებ მდინარე იანძის სამ პუნქტში ანხუეის პროვინციის დასავლეთ ნაწილში: დუნლუს მახლობლად (ანცინის სამხრეთით) ორ ადგილას და 45 კილომეტრის მანძილზე უხუს ზევით. წყალდიდობა ემუქრება იაპონელთა კომუნიკაციებს ანცინისა და უხუს შორის.

23 ივლისს კუტანის მიდამოებში, პოიანხუს ტბის დასავლეთ ნაპირზე, ადგილი ჰქონდა გამძაფრებულ ბრძოლას. ამ რაიონში იაპონელთა ჯარმა დაიწყო დესანტის გადმოსხმა.

რეიტერის სააგენტოს ხანკოუელი კორესპონდენტი იუწყება, რომ 24 ივლისს იაპონელები ორი კოლონით აწარმოებდნენ შეტევას ძიუძიანის წინააღმდეგ.

ამავე დღეს იაპონელთა ავიაციამ ყუმბარები დაუშინა ძიუძიანს, ჩამოაგდო 200 ყუმბარა. ყუმბარებმა დიდი ნგრევა და მსხვერპლი გამოიწვია.

ჩრდილოეთ ჩინეთში

შანსის პროვინციაში იაპონელთა ჯარის იუანციუიდან უკან დახევის შემდეგ, უკანასკნელი დღეების განმავლობაში დიდ ბრძოლებს ადგილი აღარ ჰქონია.

მოძრაობა სსრ კავშირთან დაახლოების სასარგებლოდ

ნიუ-იორკი, 25 ივლისი (საკდესი). ა. შ. შტატების ინტელიგენციის გამოჩენილ წარმომადგენელთა ჯგუფმა შექმნა „ამერიკული საბჭო სსრ კავშირთან ურთიერთობათა საკითხებზე“. საბჭოს მიზანია ხელი შეუწყოს საბჭოთა კავშირის მშვიდობიანი პოლიტიკის უფრო ფართო ახსნა-განმარტებას და სსრ კავშირის მიღწევათა პოპულარიზაციას სოციალიზმის მშენებლობის დარგში. საბჭოს შემადგენლობაში შედიან: „მერი ვანის სამრეწველო კვლევაძიებათა ინსტიტუტის“ დირექტორის მოადგილე —კლეეკი, საბჭოთა კავშირის მეგობართა საზოგადოების თავმჯდომარე ლამონტი, რაიმონდ რობინსი, დოქტორი სიჯერისტი, დევისი და სხვები.

ვლადიმერ კოროლენკო

(დაბადებიდან 85 წლისთავის გამო)

ქართული ლიტერატურისა და მკითხველთა საზოგადოებრიობისათვის უცნობი არ არის რუსეთის გამოჩენილი მწერლის ვლადიმერ კოროლენკოს სახელი. ვლადიმერ კოროლენკო რუსული ლიტერატურის მშვენებაა, იგი ნამდვილი ხალხური მწერლის სახელითაა შესული რუსული ლიტერატურის ისტორიაში.

ათეული წლების განმავლობაში ვ. კოროლენკო ითვლებოდა „ცხოვრების მასწავლებლად“, რუსული ლიტერატურის პატიოსნებისა და სინიდისის რაინდად. თავისი შემოქმედების ხასიათითა და პუბლიცისტურ საზოგადოებრივი მოღვაწეობით ვ. კოროლენკო ისეთი თვისებით ხასიათდება, რაც განსაკუთრებულ ადგილს ანიჭებს მას რუსულ ლიტერატურაში.

მაქსიმ გორკი კოროლენკოს სთვლიდა თავის მასწავლებლად და მუდამ დიდი პატივით იხსენიებდა. გორკი პირდაპირ სწერდა კოროლენკოს: „მე ვუწოდებ ჩემთავს თქვენს მოწაფეს“. როგორც მწერალზე, გორკი კოროლენკოს შესახებ სწერდა: „მე პირადად ამ დიდმა და ლამაზმა მწერალმა რუსეთის ხალხის შესახებ მითხრა იმდენი, რამდენიც მანამდე ვერავინ ვერ შესძლო“.

ოთხმოცდაორი წლის მხცოვანი მწერალი ლ. ტოლსტოი მუდამ აღტაცებით იხსენიებდა ვ. კოროლენკოს სახელს. ცნობილია, რომ ლ. ტოლსტოი ტიროდა, როდესაც კითხულობდა კოროლენკოს წერილს „საყოფაცხოვრებო მოვლენა“ — წერილს, აღშფოთებით აღსავსეს იმის მიმართ, რასაც სჩადიოდა თვითმპყრობელობა 1905 წ. რევოლუციის შემდეგ რევოლუციონერებისა და ხალხის წინააღმდეგ.

ლ. ტოლსტოი ამის გამო სწერდა კოროლენკოს: „ეს არის ახლა მოვისმინე თქვენი სტატია სიკვდილით სასჯელის შესახებ და კითხვის დროს ყოველნაირად ვცდილობდი, მაგრამ ვერ შევიკავე არა თუ ცრემლი, არამედ ქვითინი. სიტყვა ვერ მიპოვნია, რომ გამოვხატო ჩემი მადლობა და სიყვარული თქვენდამი ამ სტატიისათვის, რომელიც საუცხოოა თავისი გამომსახველობის ძალითა და აზრით, ხოლო რაც მთავარია გრძნობით. ის უნდა გადაიბეჭდოს და მილიონ ეგზემპლარებად ვრცელდებოდეს. ვერავითარი სათათბიროში წარმოთქმული სიტყვები, ვერავითარი ტრაქტატები, ვერავითარი დრამები, რომანები იმის მეათასედ კეთილმყოფელ გავლენას ვერ მოახდენენ, როგორიც უნდა მოახდინოს ამ სტატიამ“.

კოროლენკოს პუბლიცისტური წერილები განა მარტო მოხუც ტოლსტოის აღელვებდა? მის წერილებს, მოთხრობებს, ნარკვევებს კითხულობდა მთელი მოწინავე საზოგადოებრიობა. ამიტომ ითვლებოდა და ითვლება კოროლენკო XIX საუკუნის მეორე ნახევრის რუსული ლიტერატურის უბრწყინვალეს ფიგურად და უკეთილშობილეს პიროვნებად. ლენინი დიდად აფასებდა კოროლენკოს, როგორც „პროგრესიულ მწერალს“, მაგრამ კოროლენკო იყო არა მარტო პუბლიცისტი, არამედ მეტად საინტერესო მხატვარიც.

განუზომლად დიდი იყო ცარიზმის შავბნელ პერიოდში კოროლენკოს მნიშვნელობა, — ამბობს ლუნაჩარსკი, როგორც ინტელიგენციისათვის, გლეხობისათვის, ისე პროლეტარიატისათვის. იგი როგორც მტკიცე პროტესტანტი ისე ებრძოდა მეფის მთავრობის ყოველგვარ თავნებობას და უსამართლობას, მაგრამ დიდი იყო კოროლენკოს გავლენა და მნიშვნელობა როგორც მხატვრისაც. როზა ლუქსემბურგის თქმით, კოროლენკო იყო რუსული ლიტერატურის იმ სახელოვანი ტრადიციის მატარებელი, რომელიც დიდი რეალისტური სიცხადით ხატავდა რუსეთის მაშინდელი ცხოვრების საძაგლობას და არა თუ თაკილობდა, არამედ „მუდმივად სცვლიდა თავის ფუნჯს და მხატვრის პალიტრას ჟურნალისტის მახვილზე იმისათვის, რომ გამოეხატა თავისი დამოკიდებულება სოციალური ცხოვრების არსებითი საკითხებისადმი და მიეღო უშუალო მონაწილეობა მიმდინარე დღის ბრძოლაში“ (რ. ლუქსემბურგი — „რუსული ლიტერატურის სული“).

თავისი ნათელი ცხოვრების დიდი გზა კოროლენკომ გაატარა ბრძოლებში, ციხეებში, გადასახლებაში. მას მოუხდა ცხოვრება რუსეთის სინამდვილის ერთერთ მძიმე პერიოდში. ეს პერიოდი იყო ნაროდნიკული მოძრაობის გაკოტრების პერიოდი და ამავე დროს პერიოდი თვითმპყრობელობის საშინელი რეაქციისა, საშინელი ცენზურისა, საჩრჩობელებისა. ათასობით რევოლუციონერებს ჰგზავნიდნენ კატორღაში. თვითონ კოროლენკომაც არაერთხელ განიცადა თვითმპყრობელობის ეს საშინელებანი, მაგრამ მას არასოდეს არ უღალატნია იმ იდეებისათვის, რომლითაც ჯერ კიდევ სტუდენტობის დროიდანვე (1876 წ.) გამოვიდა საბრძოლველად.

კოროლენკო თავისი ცხოვრების ბოლო დრომდე დარჩა ხალხოსნად. რევოლუციური მოძრაობა — მარქსიზმი, რომელიც რუსეთის ხალხის წინაშე შლიდა ნამდვილად ახალ და რევოლუციურ ბრძოლის გზებს, კოროლენკომ ვერ გაიგო, მას არ მიემხრო. მაგრამ კოროლენკომ ხალხოსნობიდან შეინარჩუნა მისი საუკეთესო ტრადიციები.

კოროლენკო მოესწრო კაპიტალიზმისა და თვითმპყრობელობის წინააღმდეგ მუშათა კლასის რევოლუციური ბრძოლების ყველა პერიოდებს, მაგრამ თუ მას არ მიუღია მასში აქტიური მონაწილეობა, როგორც მუშათა კლასის ხელმძღვანელი რევოლუციური პარტიის მონაწილეს, სამაგიეროდ იგი აქტიურად იბრძოდა როგორც პროგრესიული პუბლიცისტ-მხატვარი.

კოროლენკო მოესწრო ოქტომბრის დიად სოციალისტურ რევოლუციას, მართალია იგი არ მიმხრობია მას, მაგრამ არც რეაქციის ბანაკში მდგარა. მისი ნეიტრალობა აიხსნებოდა იმით, რომ მან ვერ გაიგო ეს სოციალური რევოლუცია. მიუხედავად ამისა, მთელი თავისი შემოქმედებით, მთელი არსებით კოროლენკო იყო კაცობრიობის ბედნიერებაზე მეოცნებე ადამიანი, რომელსაც სწამდა ადამიანთა მომავალი ბედნიერი ცხოვრება. ტყუილად არ სწერდა კოროლენკო ერთ თავის მოთხრობაში: „ადამიანები გაჩენილი არიან ბედნიერებისათვის, როგორც ფრინველი საფრენად“, მაგრამ მთელი თავისი შემოქმედება კოროლენკომ შესწირა ადამიანთა უბედური ცხოვრების აღწერას.

ვ. კოროლენკო როგორც მხატვარი რეალისტი იყო. იგი გაბედულად ახატავდა მაშინდელ შავბნელ ცხოვრებას. მას როგორც მხატვარს ახასიათებდა ოპტიმიზმი, მომავლის რწმენა, ხალხის გაჭირვებას ცოდნა, ადამიანთა სულიერი ცხოვრების ღრმად გამოხატვის ძალა, ბუნების ოსტატური აღწერა. ყველაფერი ეს კოროლენკოს უქმნიდა დიდი მწერლის სახელს.

თავისი ენის სილამაზით ვ. კოროლენკო ითვლებოდა ტურგენევის მემკვიდრედ. მას ამ თვისებისათვის დიდად აფასებდა ტოლსტოიც. კოროლენკოს ახასიათებდა ჰუმანიზმი, ადამიანის ბედისადმი გულშემატკივრობა. ამ თვისების მეოხებით კოროლენკომ უცებ მიიქცია ყურადღება მწერლობაში და, როგორც რ. ლუქსემბურგი აღნიშნავს, თავისი პირველი მოთხრობით „მყისვე დადგა რუსული ლიტერატურის დიდი მხატვრების გვერდით“.

ეს მოთხრობა იყო „მაკარის სიზმარი“ (1885 წ.), იაკუტიის გუბერნიაში ყოფნის დროს დაწერილი, სადაც იგი გადასახლებული იყო ალექსანდრე მესამისათვის ფიცის მიცემაზე უარისათვის. „მაკარის სიზმარს“ მოჰყვა კიდევ უფრო მძლავრი ნაწარმოებები „ტყე ხმაურობს“, „ხატის უკან“, „ძველი მეზარე“, „ბრმა მემუსიკე“, „ცუდ საზოგადოებაში“, „მდინარე ლივლივებს“, „ციმბირული მოთხრობები“ და უამრავი პუბლიცისტური წერილები, რომელთა შორის ცნობილია თავისი დროის დიდი პოლიტიკური რეზონანსით „მულტანელი ვოტიაკების საქმე“. ამ წერილით კოროლენკო გამოეხმაურა ვოტიაკი გლეხის უდანაშაულოდ დასჯას (1885 წ.).

1891 წ. რუსეთის გუბერნიებში გავრცელდა საშინელი შიმშილი, რომლის წინააღმდეგ ბრძოლაში კოროლენკომ ლევ ტოლსტოისთან ერთად აქტიური მონაწილეობა მიიღო, შედეგად დაიწერა წიგნი „შიმშილის წლებში“. 1893 წელს ვოლგის მხარეში გავრცელდა ხოლერა, რასაც მოჰყვა ხალხში დიდი უკმაყოფილება ხელისუფლების წინააღმდეგ. უკმაყოფილებას ხელისუფლებამ უპასუხა დამსჯელი რაზმებით. კოროლენკო გამოეხმაურა ხალხის აჯანყებას და თვითმპყრობელობის წინააღმდეგ გაილაშქრა.

დიდმნიშვნელოვანი როლი ითამაშა კოროლენკომ ბეილისის პროცესის დროს. ეს პროცესი მიზნად ისახავდა თვითმპყრობელობის მიერ ებრაელთა ხოცვა-ჟლეტის მოწყობას. კოროლენკომ შეუერთა თავისი ხმა მთელი პროგრესიული საზოგადოების ხმას ამ საზიზღრობის წინააღმდეგ. 1905 წლის რევოლუციის შემდეგ კოროლენკო მტკიცედ ებრძოდა თვითმპყრობელობის მიერ სიკვდილით დასჯის კანონის შემოღებას და რეაქციის თარეშს. ამ პერიოდშია დაწერილი მისი წერილები „სოროჩინის ტრაღედია“ და „საყოფაცხოვრებო მოვლენა“. იმპერიალისტური ომის დროს კოროლენკო საზღვარგარეთ იმყოფებოდა და მხოლოდ 1915 წელს დაბრუნდა.

1900-იან წლებში კოროლენკო არჩეულ იქნა აკადემიის საპატიო წევრად, მაგრამ 1902 წელს ა. ჩეხოვთან ერთად მან უარი განაცხადა ამ სახელწოდებაზე მეფის უკანონო განკარგულების გამო შეეცვალათ მ. გორკის აკადემიის წევრად მიღება.

რუსეთის ხალხოსნების ცნობილი ბელადის ნ. მიხაილოვსკის სიკვდილის შემდეგ კოროლენკო მრავალი წლის განმავლობაში რედაქტორობდა ჟურნალ „რუსკოე ბოგატსტვოს“ და თავისი ცხოვრების ბოლო დრო უმთავრესად მიუძღვნა პუბლიცისტიკას. იგი როგორც მხატვარი ერთგვარად გორკის წინამორბედი იყო. მისი მოთხრობების გმირები დაჩაგრული, მაგრამ ძიებით აღსავსე ადამიანები იყვნენ. თავისი ცხოვრების ბოლო წლებში კოროლენკომ დასწერა მემუარული წიგნი „ჩემი თანამედროვის ისტორია“, რომელიც გადაგვიშლის მისი გმირული ცხოვრების შესანიშნავ ფურცლებს.

ვ. კოროლენკო გარდაიცვალა 1921 წელს ქალაქ პოლტავაში. ვ. კოროლენკოს უკვდავი ნაწარმოებნი შევიდა დიადი საბჭოთა ლიტერატურის საგანძურში. მის ლიტერატურულ მემკვიდრეობას გულმოდგინედ ეცნობიან ჩვენი ქვეყნის მშრომელები.

ალ. სულავა

ამინდი

25 ივლისს დასავლეთ საქართველოში იდგა ცვალებადი მოღრუბლული ამინდი, ალაგ-ალაგ მოდიოდა ელჭექის ხასიათის წვიმა. გუდაუთში, ბათუმში, ონში და ტყიბულში წვიმდა. ყველაზე მაღალი ტემპერატურა აღინიშნული იყო გულში—32 გრადუსი, ყველაზე დაბალი წიფაში—18 გრადუსი, ქუთაისში იყო 30 გრადუსი, სამტრედიაში 31, სოხუმში 27 გრადუსი.

აღმოსავლეთ საქართველოში იდგა ცვალებადი მოღრუბლული ამინდი, ალაგ-ალაგ მოდიოდა ელჭექის ხასიათის წვიმა (სურამი, აბასთუმანი, სტალინირი). ყველაზე მაღალი ტემპერატურა — 32 გრადუსი იყო თბილისსა და ყარაიაში, ყველაზე დაბალი—11 გრადუსი გუდაურში.

დღეს თბილისის მიდამოებში მოსალოდნელია ცვალებადი მოღრუბლულობა, უმნიშვნელო გარდამავალი წვიმა, სუსტი ქარი, ტემპერატურა 20 გრადუსიდან ღამით 30 გრადუსამდე დღისით.

დოღი

24 ივლისს თბილისის სახელმწიფო იპოდრომზე ჩატარდა ცხენთგამოცდების მეთხუთმეტე დღე. გათამაშებულ იქნა ცხრა დოღი. მონაწილეობას იღებდნენ აზერბაიჯანის, ყულარის, ვოროშილოვის, ძერჟინსკისა და მუხროვანის ცხენთსაშენის 2 და 3 წლიანი წმინდა სისხლის ცხენები. პირველ დოღში გაიმარჯვა „პარიკიზიმ“, რომელმაც 1.200 მეტრი 1 წუთსა და 18 წამში გაირბინა. მესამე დოღში ფინიშთან პირველი მივიდა „ალი“, მეოთხეში გამარჯვება ხვდა „გოლიათს“ (მუხროვანის ცხენთსაშენი), რომელმაც 2.000 მეტრი 2 წუთსა და 15 წამში დაჰფარა. მეხუთე დოღში გაიმარჯვა „ლუქმა“, მეექვსეში—„პირნათელმა“.

ყველაზე საინტერესო გამოდგა მეშვიდე დოღი. მასში მონაწილეობას იღებდა 6 ცხენი, სადაც პირველი ადგილი დაიკავა და საქართველოს სს რესპუბლიკის ჯილდო 1.500 მანეთი მიიღო ვოროშილოვის სახელობის ცხენთსაშენის ცხენმა „ბეზზავეტნაიამ“, რომელმაც 3200 მეტრიანი დისტანცია 3 წუთსა და 32 წამში დაჰფარა.

მერვე და მეცხრე დოღში გაიმარჯვეს „ბარბარამ“ და „დუკატმა“.

პარტკალენდარი

ლ. კეცხოველის სახელობის პროპაგანდისტისა და აგიტატორის სახლში.

27 ივლისს

საქ. კ. პ. (ბ) ისტორიის კაბინეტი — კონსულტაცია თემაზე: მენშევიკები და ბოლშევიკები რუსეთ-იაპონიის ომისა და რუსეთის პირველი რევოლუციის პერიოდში (1904—1907 წ. წ.). ქართულ ენაზე, კონსულტანტი ამხ. სიფრაშვილი, დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

იმავე კაბინეტში — ინდივიდუალური კონსულტაცია საქ. კ. პ. (ბ) ისტორიაში. კონსულტაცია შესდგება რუსულ ენაზე. დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

○

27 ივლისს, საღამოს 8 საათზე, საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის ორჯონიკიძის რაიკომის პარტკაბინეტში პარტწრეების პროპაგანდისტებისათვის შესდგება ინდივიდუალური კონსულტაცია საქ. კ. პ. (ბ) ისტორიაში. კონსულტანტები: ქართულ ენაზე — ამხ. ცაგარეიშვილი, რუსულ ენაზე — ამხ. ყიფშიძე.

პასუხისმგებელი რედაქტორი
ვ. ხატიაშვილი.

საჭფილეგთის საზაფხულო თეატრი და ბაღი
პლეხანოვის პროსპ. № 123, ტელ. 3-18-50

27, 28, 29, 30 ივლისს ტალ. № 56, 57, 58, 59, 60
ლენინგრადისა და მოსკოვის ესტრადის არტისტთა გასტროლები ბოშათა ძველებური რომანსებისა და საბანაკო სიმღერების შემსრულებლის **ანა ორლოვას** მონაწილეობით. დასაწყ. 9 ს. 30 წ.
ვისაც მუდმივ ბილეთებზე მეორე გადასახდელი შეტანილი არ ექნება, მას თეატრში არ შეუშვებენ.

ღია ესტრადა
27, 28 ივლისს
მხატვრული კინო-კომედია
„ოქროს ტაიგა“
დასაწყ. საღ. 10 ს.
ესტრადაზე შესვლა ბაღის მესასვლელი ბილეთებით.
ანონსი: 7 აგვისტოდან ოპერეტის სახელმწიფო თეატრის გასტროლები. 50

ჯ. ს. ქ. ქ. თბილისის მესამე საფერშლო სკოლა
მომავალი 1938/39 სასწავლო წლისათვის აცხადებს მოსწავლეთა მიღებას ქართულ სექტორზე.

სკოლა ამზადებს ფერშლებს—ექიმის თანაშემწეებს. მეცადინეობა სწარმოებს საღამოს საათებში. სწავლების ვადა 3 წელია. მიღებული მოსწავლეები უზრუნველყოფილი იქნებიან სტიპენდიით არსებული წესის მიხედვით, ხოლო რაიონებიდან მიღებულ მოსწავლეებს 25%-ს მიეცემა ბინები საერთო საცხოვრებელში. სკოლაში მიიღებიან სათანადო გამოცდის შემდეგ ორივე სქესის მოქალაქენი 15-დან 35 წლამდე, რომელთაც მიღებული აქვთ განათლება არა ნაკლებ საშუალო სკოლის 7 კლასისა.

გამოცდები იწარმოებს შემდეგ საგნებში: 1. დედა-ენაში, 2. მათემატიკაში, 3. ფიზიკაში, 4. პოლიტცოდნაში.

უგამოცდოდ ჩაირიცხებიან: არასრული საშუალო სკოლის კურსდამთავრებული ფრიადოსნები და ის მოსწავლეები, რომელთაც დამთავრებული აქვთ საშუალო სკოლა ან მუშფაკი ან და ტექნიკუმი.

განცხადებების მიღება სწარმოებს დირექტორის სახელზე 1-ლი ივლისიდან 25 აგვისტომდე. გამოცდები იწარმოებს 26 აგვისტოდან 31 აგვისტომდე. განცხადებასთან ერთად წარმოდგენილ უნდა იქნეს: 1. მოწმობა განათლების შესახებ (დედანი), 2. მეტრიკული ამონაწერი, 3. ცნობა ჯანმრთელობის შესახებ და 4. ორი ფოტოგრაფიული სურათი, პირადად ხელმოწერილი. პირადად, გამოცხადებისას, წარმოდგენილ უნდა იქნას პასპორტი. სწავლა დაიწყება პირველ სექტემბერს.

განცხადებებისა და საბუთების გადმოგზავნა შეიძლება ფოსტითაც **შემდეგი მისამართით:** ქ. თბილისი, კონსტიტუციის ქუჩა, № 4 (ყოფილი სართანიას), დერმატოლოგიური და ვენეროლოგიური ინსტიტუტი, 1 სართული, ოთახი № 7, ამხ. გვარამიასთან.

განცხადებები მიიღება ყოველდღე დილის 9 საათიდან 3 საათამდე. ტელეფონი № 3-37-23.

180 **მესამე საფერშლო სკოლის დირექტორი ექიმი 3. იაშვილი.**

სსრ. კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომისიის სახალხო მეურნეობის აღრიცხვის სამმართველოს თბილისის ტექნიკუმში
მიღების პირობები 1938/39 წელს.

სახალხო მეურნეობის აღრიცხვის თბილისის ტექნიკუმი ამზადებს საშუალო კვალიფიკაციის ეკონომისტ-სტატისტიკოსებს. სწავლა ტექნიკუმში იწარმოებს ქართულ ენაზე. სწავლის ვადა 3 წელი.

ტექნიკუმში გამოცდებით მიიღებიან ორივე სქესის მოქალაქენი, არასრული საშუალო სკოლის შვიდწლედის კურსდამთავრებულნი ასაკით 16-დან 30 წლამდე.

ფრიადოსნები მიიღებიან უგამოცდოდ.

განცხადებების მიცემა სწარმოებს 15 აგვისტომდე. 16 აგვისტოდან 25 აგვისტომდე იწარმოებს მისაღები გამოცდები არასრული საშუალო სკოლის კურსის მოცულობით შემდეგ საგნებში:

ქართული და რუსული ენა, მათემატიკა, გეოგრაფია და სსრ კავშირის კონსტიტუცია.

განცხადება შეტანილ უნდა იქნას დირექტორის სახელზე შემდეგი მისამართით: თბილისი (ვაკე), ფალიაშვილის ქ. № 30.

განცხადებას თან უნდა დაერთოს შემდეგი საბუთები:

მოწმობა განათლების შესახებ (დედანი), წლოვანების, ჯანმრთელობის მოწმობა და ორი ფოტოსურათი.

ტექნიკუმში ჩარიცხულთა 65% უზრუნველყოფილი იქნება სტიპენდიით და საერთო საცხოვრებლით.

დაწვრილებითი ცნობები ტექნიკუმის კანცელარიაში.

2-1 1707 **დირექცია.**

სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი აცხადებს
1938 წ. შემოდგომაზე მიღებას ასპირანტურაში შემდეგ სპეციალობებზე:

1. რუსული ენა, 2. რუსული ლიტერატურა, 3. დასავლეთ ევროპის ლიტერატურა, 4. კავკასიური და აღმოსავლური ენები, 5. ქართული ენა. 6. ახალი ქართული ლიტერატურა, 7. ძველი ქართული ლიტერატურა, 8. არითმეტიკა, 9. ფსიქოლოგია, 10. ხელოვნების ისტორია, 11. საქართველოს ისტორია, 12. ს. ს. რ. კ. ხალხთა ისტორია, 13. ძველი ისტორია, 14. საშუალო საუკუნეთა ისტორია, 15. ახალი ისტორია, 16. არქეოლოგია, 17. სისხლის სამართალი, 18. სამოქალაქო სამართალი, 19. სახელმწიფოს და სამართლის თეორია, 20. სახელმწიფოს და სამართლის ისტორია, 21. ფინანსები და კრედიტი, 22. საქონლის მცოდნეობა, 23. ფუნქციონალური ანალიზი და ინტეგრალური განტოლებანი, 24. მათემატიკური ფიზიკა, 25. მცენარეთა სისტემატიკა და მორფოლოგია, 26. ფიზიოლოგია, 27. ზოოლოგია, 28. მინერალოგია და პეტროგრაფია, 29. გეოლოგია და პალეონტოლოგია, 30. ეკონომიური გეოგრაფია, 31. ფიზიკური გეოგრაფია, 32. არაორგანიული ქიმია, 33. ანალიტიკური ქიმია, 34. დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმი, 35. ექსპერიმენტალური ფიზიკა, 36. თეორიული ფიზიკა.

ასპირანტურაში მიიღებიან უმაღლეს სასწავლებლის კურსდამთავრებული პირნი ასაკით არაუმეტეს 35 წლისა.

ასპირანტურაში შემსვლელნი აბარებენ მისაღებ გამოცდებს ისტმატში და დიამატში. ორ სპეციალურ დისციპლინაში და ერთერთ უცხო ენაში უმაღლესი სასწავლებლის კურსის მოცულობით.

ქართულ სექტორზე შემსვლელთათვის რუსული ენის ცოდნა აუცილებელია, ხოლო ქართული ენის ცოდნა სავალდებულოა ყველასათვის.

განცხადებები შემოტანილ უნდა იქნას რექტორის სახელზე შემდეგი საბუთების წარმოდგენით: 1) დიპლომი უმაღლესი სასწავლებლის დამთავრებისა, 2) შემოწმებული ავტობიოგრაფია, 3) სამუშაოს ადგილებიდან დახასიათებანი, 4. საზოგადოებრივი ორგანიზაციების დახასიათებანი, 5) 3—ფოტოსურათი (უქუდოდ) პირადი ხელმოწერით, 6) სამხედრო ბეგარასთან დამოკიდებულების ცნობები (სამხედრო ვალდებულთათვის), 7) საექიმო მოწმობა ჯანმრთელობის შესახებ, 8) პასპორტი (წარმოადგენს პირადად).

ასპირანტურაში ჩარიცხული პირები უზრუნველყოფილი იქნებიან სტიპენდიით თვიურად 400 მანეთის რაოდენობით, ხოლო სხვა ქალაქებიდან ჩამოსულნი საერთო საცხოვრებლებითაც (ოჯახის წევრები საერთო საცხოვრებლით არ იქნებიან უზრუნველყოფილნი).

განცხადებების შემოტანის უკანასკნელი ვადა—1938 წ. 25 სექტემბერი.

ცნობების მიღება შეიძლება ასპირანტურის სექტორში ყოველდღიურად შემდეგი მისამართით: ქ. თბილისი, სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, მარის ქ. № 1, 1-ლი სართული, ოთახი № 37. 91

საქ. ს.ს.რ სახალხო კომისართა საბჭოს ა. წ. 7 ივლისის დადგენილების თანახმად ხდება
საკავშირო სავაჭრო პალატის საქართველოს ფილიალის ლიკვიდაცია

პრეტენზიები უნდა წარედგინოს სალიკვიდაციო კომისიას (კეცხოველის ქ. № 5, 1-ლი სართული) ა. წ. 1 აგვისტომდე, რის შემდეგ არავითარი პრეტენზია აღარ მიიღება.

1712 **სალიკვიდაციო კომისია.**

საქ. სახელმწიფო გამომცემლობის პერიოდგამოცემათა სექტორის ინსტრუქტორ-გამავრცელებელი მოქალაქე
პავლე ლუარსაბის-ძე კობეშავიძე
ა. წ. 25 ივლისიდან მოხსნილია გამომცემლობის სისტემაში მუშაობიდან და მასზე გაცემული ყოველგვარი საბუთები გაუქმებულად ითვლება აღნიშნულ დროიდან.
პავლე კობეშავიძეს წინადადება ეძლევა სასწრაფოდ გამოცხადდეს სახელგამში.
საქ. სახელმწიფო გამომცემლობის პერიოდსექტორის
182 **გამგე რამიშვილი.**

მისამართი: რედაქციის — თბილისი, რუსთაველის პროსპ. № 16, გამომცემლობის — რუსთაველის პროსპექტი № 34; ტელეფონები: სამდივნოსი 3—06—88, განყოფილებებისა: პარტიულის—3—57—61, სასოფლო-სამეურნეოს—3—73—40. მშრომელთა წერილების—3—73—24; პ-მგ. მორიგის—3—26—67, გამომცემლობის—3—51—81; სტამბის დირექტორის—3—27—04, ხელნაწერებს ავტორებს არ უბრუნდებათ.

ამხ. ს. თოდრიას სახ. სტამბა „კომუნისტი“, თბილისი, კამოს ქ., № 68.

მთავლიტის რწმუნებული ბ—1400